ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 30 ოქტომბერი 2003 №206 (1977) | ფასი 50 თეთრი

ევრო100! ბევრი თასი

შუა კვირაში ამდენი — ასამდე მატჩი იშვიათია და მაშინლა უწევს, როცა ევროპა თასებისთვის მოიცლის ხოლმე. გუშინ სწორედ ასეთი დღე იყო და მეტწილ სათასო თამაშებში ჩვენთვის განსაკუთრებით ერთი იყო გამორჩეული, რომელიც სიუჟეტ-ანგარიშითაც გამოირჩა:

იაშვილის ფრაიბურგმა კობიაშვილის შალკეს ოთხი გოლი დაშმატა

7:3

REUTERS ფრაიბურგიდან

ლევან კობიაშვილი ალექსანდრე იაშვილმა ფრაიბურგიდან პირადი ორი გოლითაც გაისტუმრა

ახლა სამზე უნდა ვინერვიულოთ







გუშინდელ გამთენიამდე ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ მორიგი სეზონი დაიწყო. უსაშველოდ გაძლიერებულმა „ლეიკერსმა“ სასამართლოებში მოწანწალე კობი ბრაიანტის გარეშეც დაანარცხა „დალასი“. „ქართულ“ კლუბებს კი ამ დილით მოუწიათ ტრიბუნების მათრობელა გუგუნის გახსენება. დებიუტანტი ზაზა ფაჩულია და მისი „ორლანდო“ ახლა ყველაზე ხმაურიან ქალაქში, ნიუ იორკში არიან და ყველაზე ხმაურიანი დარბაზი „მედისონ სკვერ გარდენიც“ უკვე უკან დარჩებოდათ. შედგა თუ არა ფაჩულიას დებიუტი „ნიუ იორკ ნიქსთან“ შეხვედრაში, ნამდვილად ვერ მოგახსენებთ, ამერიკა საკმაოდ ჩამოგვრჩება იმისთვის, რომ ინტერნეტმა ნბა-ს მატჩის ოქმი დაგვაწიოს.

რაც შეეხებათ სხვა ჩვენებურებს — ვოვა სტეფანიას „პორტლენდი“ ამ ზაფხულსაქეთ დაკოჭლებულ „იუტას“ სტუმრობდა და იქნებ იმარჯვა კიდეც, ხოლო „დენვერი“ ჩემპიონ „სან ანტონიოს“ მასპინძლობდა და ნიკა ცქიტიშვილიც სეზონს მარცხით გახსნიდა.

ამასობაში კი, ჩვენს გალეულ ჩემპიონატში პირველი მარცხი იწვნია ჩემპიონმა „დინამომ“ და მისმა მწვრთნელმა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა, რომელიც ორიოდ თვის წინ ზემოთ ნახსენებ ნბა-ელ და არანბაელ ქართველთა თბილისში შეკრებას გვპირდებოდა. „ბასკონსთან“ შეხვედრაში ბრაიკოვიჩს ნერვებმაც უმტყუნა და ემოციურმა ხორვატმა პირველი ქართული ტექნიკური გამოიმუშავა.

უეფას თასი

UEFA CUP 1/32 ფინალი. პირველი მატჩი UEFA CUP

რუსენბორგი (ნორვეგია) 0:0 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)

პორტუგალია

სუპერლიგა
გადადებული მატჩი
აკადემიკა 1:3 გენფიკა

ავსტრია

მაძსბუნდესლიგა. XV ტური
ბრეგენცი 2:1 მატერსბურგი
კერნტენი 1:4 გრაცერი
ზალცბურგი 1:2 ადმირა
შტურმი 0:1 პაშინგი
აუსტრია 2:0 რაპიდი

შვეიცარია

სუპერლიგა. XV ტური
ბაზელი 2:0 თუნი
სენტ გალენი 1:0 სერვეტი
ძსამაძსი 0:0 ვილი
იანგ ბოიზი 5:3 აარაუ
ციურიხი 0:2 გრასჰოპერი

დანია

სუპერლიგა. XV ტური
ოლბორგი 0:1 კოპენჰაგენი
ბრონდბიუ 3:1 ფრემი
ესბიერგი 2:0 მიდტიულანდი
ნორდსიელანდი 1:1 ჰერფიოლგე
ორჰუსი 3:1 აკადემისკი
ოდენსე 4:2 ვიბორგი

უკრაინა

თასის 1/8 ფინალი
დნიპრო 3:0 არსენალი
მეტალურგი (დ) 1:1დ.დ.(პენ.8:9, 1:1) ტავრია
ილიჩევეცი 5:0 ვორსკლა
ბორისფენი 1:2დ.დ.(1:1) მეტალურგი (ზ)
კრივბასი 0:4 შახტარი
სპარტაკი 0:1 ჩერნომორეცი
სტალი 3:0 ოგოლონი

უნგრეთი

თასის 1/8 ფინალი
მტკ 1:2 ფერენცვაროში
ტუშერი 1:0 ელორე
სენეცი 0:3 კიშპეშტი
სეგლედი 0:1დ.დ.(0:0) ვაშაში
ბოდაიკი 1:0 პეჩი
შენტლორინცი 0:1დ.დ.(0:0) შოპრონი

სლოვაკეთი

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩები
ტეპლიცე 1:0 ლიხარტოვეცე (2:4)
პეტრჟალკა 5:1 სობოტა (0:1)

სლოვენია

სი მობილ ლიგა. XIII ტური
ოლიმპია 4:0 დრავოგრადი

გერმანია

თასის 1/6 ფინალი
ფელბერტი 1:2დ.დ.(1:1) რეგენსბურგი
აინტრახტი 1:2დ.დ.(1:1) დუისბურგი
ზიგენი 1:2დ.დ.(1:1) ფიურტი
ბრაუნშვაიგი 2:0 ჰანოვერი
ჰოფენჰაიმი 4:0 კარლსრუე
უნიონი 0:5 ლევერკუზენი
ფრაიბურგი 7:3დ.დ.(3:3) შალკე
ალემანია 1:1დ.დ.(პენ.5:4, 1:1) მიუნხენი
უნტერჰახინგი 2:4 კაიზერსლაუტერნი
მიუნხენგლადბახი 2:1 დორტმუნდი

იტალია

თასის II ეტაპი
საპასუხო მატჩები
პერუჯა 3:2 ჩეზენა (2:1)
ბოლონია 3:0 ბრინდიზი (2:3)
მოდენა 2:0 სამბენედეტეზე (1:2)
რეჯინა 3:0 სალერნიტანა (2:0)
სამპდორია 3:0 პრო პატრია (1:0)
სიენა 3:0 ტერამო (1:0)

საფრანგეთი

ლიგის თასის 1/6 ფინალი
გენიონი 1:1დ.დ.(პენ.3:2, 1:1) პსჟ
ლე მანი 2:1 ისტრი
ბასტია 1:0 ტულუზი
ნიმი 1:2 ლილი
სოშო 3:2დ.დ.(2:2) ვალანსი
მარსელი 2:0 მონაკო

ჰოლანდია

ამსტელლის თასი. III ეტაპი
კამბური 1:3დ.დ.(1:1) ტვენტე
ეინდჰოვენი 0:2 ტილბურგი
დენ ბოსხი 0:2 აიაქსი (II)
ოვნივორლდი 2:4დ.დ.(2:2) ვალვაიკი

საბერძნეთი

თასის II ეტაპი
საპასუხო მატჩი
პაოკ 1:0 ეგალეო (1:1)

ჩეხეთი

თასის 1/6 ფინალი
ტაბორი 0:5 სპარტა
ვიტკოვიცე 0:2 ოსტავა
დრნოვიცე 2:1 სინოტი
სტრაკონიცე 0:0(პენ.3:2) ოლომოუცი
ჰრ. კრალოვე 0:4 ლიბერეცი
პოჩერნიცე 0:4 ბლშანი
ხომუტოვი 0:2 პრჟიბრამი
ბოჰემიანსი 0:0(პენ.6:7) პლზენი

ირლანდია

პრემიერლიგა. XXVII ტური
სენტ პატრიკსი 3:3 დროჰედა

ესპანეთი

პრიმერა დივიზიონი
IX ტური
ბილბაო 2:1 მალაგა
სევილია 1:1 ვალიადოლიდი
ვალენსია 2:2 სელტა
ალბასეტე 2:0 ვილიარეალი
ოსასუნა 2:0 ბეტისი
ბარსელონა 3:0 მურსია
დეპორტივო 0:2 მალიორკა
რასინგი 0:1 ესპანიოლი

დეპორტივო	9	7	0	2	19:8	21
რეალი	9	6	2	1	20:9	20
ვალენსია	9	6	2	1	16:5	20
ოსასუნა	9	5	2	2	12:7	17
ბარსელონა	9	4	3	2	11:7	15
ბილბაო	9	4	2	3	12:9	14
ბეტისი	9	3	4	2	12:11	13
სოსიედადი	8	3	3	2	9:7	12
სევილია	9	2	6	1	12:11	12
რასინგი	9	3	2	4	12:11	11
ვილიარეალი	9	2	5	2	10:11	11
ვალიადოლიდი	9	3	2	4	12:18	11
სელტა	9	2	4	3	13:13	10
მალაგა	9	3	1	5	10:14	10
ატლეტიკო	8	3	1	4	7:12	10
ალბასეტე	9	3	0	6	10:13	9
სარაგოსა	9	2	2	5	6:10	8
მალიორკა	9	2	2	5	9:15	8
მურსია	9	1	3	5	7:16	6
ესპანიოლი	9	1	2	6	8:20	5

ინგლისი

ლიგის თასის
III ეტაპი
ასტონ ვილა 1:0 ლესტერი
ჩელსი 4:2 ნოტსი
ნიუკასლი 1:2დ.დ.(1:1) ვესტ ბრომვიჩი
ნოტინგემი 2:4დ.დ.(2:2) პორტსმუთი
ტოტენჰემი 1:0დ.დ.(0:0) ვესტ ჰემი
ბლეიბერნი 3:4 ლივერპული
ევერტონი 1:0 ჩარლტონი
უიგანი 1:2 მიდლსბრო

პოლონეთი

I ლიგა XI ტური
გურნიკი 3:1 ოდრა
ამიცა 4:0 კატოვიცე
პლოცკი 3:1 ვიძევი
ლეხი 5:1 სვიტი
ჰოლკოვიცე 0:0 პოლონია
ლეგია 1:1 გროცლინი

ხორვატია

თასის 1/8 ფინალი
რიეკა 3:0 ზაგრები
კამენი 2:0 სლავენი
ჰაიდუკი 3:1 ზადარი

შოტლანდია

ლიგის თასის
III ეტაპი
კლაიდი 2:5 დანდი
დანდი იუნ. 0:1 ლივინგსტონი
ჰარტსი 2:1 ფოლკირკი

ვინ ვის მისცემს?

რეხვიაშვილი და სილაგაძე გარიგებულებში გარიეს



ალექსანდრე რეხვიაშვილი

რუსულ პრემიერლიგაში საფეხბურთო სეზონი მთავრდება და ხმამაღლა ახლაღა ალაპარაკდნენ ჩაწყობილ მატჩებზე, არადა ჩემპიონატის მანძილზე ბევრი ისეთი თამაში იყო, საეჭვო რომ ეთქმის. ვერ დაიჭერ, ჭურდი არ არისო, ნათქვამი აქვთ რუსებს და პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული. თუმც, ბოლო ტურებში ისეთი შედეგები დაფიქსირდა, რუს მედიელებს ხელი კალმისკენ გაექცათ. რუსები წერენ, გარიგებულია ჩვენი ჩემპიონატის მატჩებიო, თუმც გადაჭრით ვერაფერს ამტკიცებენ, რადგან როცა საქმე ჩაწყობაზეა, ერთობ გასაიდუმლოებული ვითარება იქმნება. მიუხედავად ამისა, ჩვენმა რუსმა კოლეგებმა პრემიერლიგის ბოლო ტურის რამდენიმე მატჩის შედეგი იწინასწარმეტყველეს. ამათ შორის ორი „ქართული“ გუნდის შეხვედრებიც მოხვდა. მოკლედ, რუსები ამბობენ, წყალი არ გაუვა, „რუბინი“ ცსკა-ს მოუგებს და „სპარტაკი“ „ტორპედო-მეტალურგს“ დაუწვებაო. შევნიშნოთ, „რუბინს“ მესამე ადგილის დასაკავებლად სჭირდება უმოტივაციო, უკვე ჩემპიონი ცსკა-ს დამარცხება, „ტორპედო-მეტალურგს“ კი რჩეულთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად უნდა „სპარტაკის“ ძლევა.

ამასთან დაკავშირებით, გუშინ „რუბინის“ მცველ ლევან სილაგაძეს და „ტორპედო-მეტალურგის“ საყრდენ ნახევარმცველ ალექსანდრე რეხვიაშვილს დავუკავშირდით, თუმც აქვე ვთქვათ, ფეხბურთელთა კომენტარი მოლოდინისამებრ ზოგადი და ზომიერი იყო.

ალექსანდრე რეხვიაშვილი: — ჩემი გუნდი გამალებულ სამზადისშია „სპარტაკთან“ მატჩისთვის. მე ალბათ კვლავაც არ მათამაშებენ, მაგრამ, ფაქტია, თანაგუნდელები მოსაგებად იბრძოლებენ, რადგან ეს ბოლო შანსია პრემიერლიგაში დასარჩენად.

— ითქვა, „სპარტაკი“ სასურველ შედეგს გაატანს თანაქალაქელებსო, თქვენ თუ გსმენიათ ამის შესახებ.

— „სპარტაკს“ არაფრად არგია ჩვენთან თავის გამოჩენა. მოგება გვჭირდება და ცხადია, საამისოდ დიდი მოტივაციაც გვაქვს და შესაძლოა ეტი შანსიც უმოტივაციო გუნდთან. ვერ გეტყვით, რა განწყობა აქვს საამმატჩოდ „სპარტაკს“. გარიგებულია თუ არა მატჩი, ამაზე ვერაფერს გეტყვით, ფეხბურთელს არავინ ახედებს ასეთ საქმეში, თუმც ამასაც არ უნდა ვამბობდე, თქვენს კითხვას უკომენტაროდ დავტოვებ.

ლევან სილაგაძე: „რუბინს“ მოგება სჭირდება და რა გასაკვირია, უმოტივაციო ცსკა-სთან ჩვენი შანსები გაცილებით დიდია, თუმც ჩაწყობაზე საუბარი ზედმეტი მგონია. ვიცი, რომ არმიელები სათადარიგოებს დაგვიპირისპირებენ, მაგრამ მათ ძირითადში დამკვიდრების საშუალება აქვთ და თავს არ დაზოგავენ. მოკლედ, ცსკა-სთან დიდი ომი გველის, თუმც მჯერა, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. ვიცი, რომ ამ მატჩში მეც ვითამაშებ და უკვე ვლელავ, მსურს „რუბინის“ ისტორიულ მატჩში ჩემი წვლილი შევიტანო.

პაატა ძვანტალიანი

ჟოაოს ყიფიანი სჭიდრდება, ყიფიანს ეძიმე

საქართველოს მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეცხრე ტურში, 27 სექტემბერს ბოლნისის „სიონთან“ მატჩში გაძევებულმა გიორგი ყიფიანმა დისკვალიფიკაცია მოიხადა, თუმც „ტორპედოს“ შემადგენლობაში დღემდე არ გამოჩენილა. ქუთაისური კლუბის შემტევი ნახევარმცველი ტრავმის გამო ვერ ახერხებს თამაშს. მას საზარდული აწუხებს.

თავდასხმაში გაჭირვებული „ტორპედოსთვის“ გიორგი ყიფიანი პატარა ძალა არ არის, რაც მისთვის ახალ მწვრთნელ ჟოაო კამპუშსაც უთქვამს. გიორგისაც იმედი აქვს, რომ კლუბს მალე დაუბრუნდება, თუმც უახლოეს ტურებში ამას არ უნდა ველოდოთ.

— საზარდული ადრეც მაწუხებდა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. მეგონა საშიში არაფერი იყო. ახლა კი ტკივილს ველარ გავუძელი. ნემსებს ვიკეთებ და მკურნალობის კურსს ერთ კვირაში დავასრულებ. მერე კი შევხედავ, თუ შევძელი ვივარჯიშებ. ყოველ შემთხვევაში, ექიმები ზუსტად ვერაფერს მეუბნებიან, ისინიც კურსის დამთავრებას ელიან — გვითხრა გუშინ გიორგი ყიფიანმა — ძალიან მინდა, „ტორპედოს“ დავეხმარო. ერთიორჯერ ჟოაო კამპუშთან ვარჯიშიც მოვასწარი, თუმც როგორც თავად მითხრა, მანამდეც ჰქონია ჩემზე ინფორმაცია. „ტორპედოს“ თამაშების ვიდეოფირები უნახავს და მითხრა, შენი იმედი მაქვსო. ნოემბერში ქუთაისში დაბრუნდები და ვნახოთ, ალბათ თამაშს მალე დაიწყებ.

გიორგი ყიფიანი ჯერჯერობით არც სამომავლო გეგმებში გარკვეულა ბოლომდე. მისი თქმით, თუ ზამთარში უცხოური კლუბის ვარიანტი გამოუჩნდა, „ტორპედოს“ დატოვებს. არადა, სეზონს რიონისპირა ქალაქში ჩაამთავრებს.

ძახა შალამბერიძე

ამ ბავშვებს ჩვენ მივხედავთ!

დინამომ საბურთალო აიღო

საფეხბურთო სკოლა „საბურთალო“ გუშინ სამი წლის გახდა.

ფეხბურთის მოყვარულთ ეს სახელწოდება, რა თქმა უნდა, ეცნობათ, საბურთალოელებმა ბავშვებისკენ, ბავშვობისკენ გაიხედეს და 161-ე სკოლასთან საფეხბურთო სკოლა ჩამოაყალიბეს.

დღესდღეობით იქ 200-ძდე ბავშვი ვარჯიშობს. ყველაზე უფროსი 14 წლისაა, უმცროსი — 4-ის.

გუშინვე „საბურთალოსა“ და საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისს“ შორის ოფიციალური ხელშეკრულება გაფორმდა:

— თბილისის „დინამოს“ „საბურთალოს“ ნორჩი ფეხბურთელების პირველად გასინჯვის, გაწვრთნისა და შემდგომ „დინამოში“ მიწვევის ექსკლუზიური უფლება აქვს — თქვა მისასალმებელ სიტყვაში თბილისის „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა. თავის მხრივ კი, „საბურთალოს“ მესვეურთ გულს უხარებთ თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტი — „საბურთალო“ და უპირველესი ქართული კლუბი თბილისის „დინამო“ დაამობილდნენ.

ფეხბურთელთა ერთმა ჯგუფმა უკვე „დინამოს“ დიღმის ბაზის კარიც შეაღო და იქ ვარჯიშობს.

კოტა ინასარიძე

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

რევაზ არველაძის რკინიგზული მონაგარი: ჩემი სისუსტე ვიპოვე

თბილისის „ლოკომოტივში" მწვრთნელი შეიცვალა – რევაზ არველაძე წავიდა და ლუის ცაკარიასი მოვიდა. არველაძე გუნდს უხმაუროდ, უსასანდალოდ დაშორდა, თუმც სათქმელი ყველა გადამდგარ მწვრთნელს აქვს...

ბაგრან დოლიძეს ფოტო

— რა იყო „ლოკომოტივიდან" თქვენი წასვლის მიზეზი? მხოლოდ ის, რომ გუნდი მეექვსე ადგილზეა?

— მიზეზი უბრალოა — ვერ მივაღწიეთ იმ შედეგსა და თამაშის ხარისხს, რაც გვინდოდა. მე სულ სხვა ამბიციები მქონდა და ამის გამო სათანადო პასუხისმგებლობასაც ვგრძნობდი. ამიტომ მუდმივი ზეწოლის ქვეშ მიწევდა მუშაობა. არავის არაფერს ვაბრალებ, ჩემი „ლოკომოტივიდან" წასვლა მწიფდებოდა და წყნარად წავედი.

— „ლოკომოტივის" ფეხბურთელებს პრემიები არ ჰქონდათ — ეს ხომ არ იყო გუნდის წარუმატებლობისა და თქვენი წასვლის მიზეზი?

— შესაძლოა, პატარა მიზეზი ესეც იყო, მაგრამ როცა ლაპარაკია პირობებზე და ფულის ხარჯვაზე, შედეგიც ამის პირდაპირპროპორციული უნდა იყოს — „ლოკომოტივის" ფეხბურთელებს მხოლოდ სამეულში ყოფნისას ექნებოდათ პრემიები. ყველაფერმა ამან კი უარყოფითად იმოქმედა გუნდზე, თანაც იმის მიღწევა უკვე რთულად მეჩვენებოდა, როგორადაც მე წარმომიდგენია ფეხბურთი — ესთეტიკა და რაც შეიძლება მეტი ტაქტიკა — ეს ვერ შევძელი. „ლოკომოტივი" მე-3-მე-4 ადგილებზე რომ ყოფილიყო, მეტ თავდაჯერებულობას შესძენდა ფეხბურთელებს. მაგრამ რახან ეს ვერ მოვახერხეთ, ფეხბურთელებთან უფრო მოტივაციაზე მიწევდა ლაპარაკი, ვიდრე ტაქტიკურ, საფეხბურთო ელემენტებზე.

— „ლოკომოტივში" თქვენებური სელექციით კმაყოფილი იყავით?

— ალბათ ჩემი შეცდომა იყო, პირად ურთიერთობებს დიდ ანგარიშს რომ ვუწევდი და მოთამაშეების შესაძლებლობებზე მათი უწინდელი თამაშით ვხელმძღვანელობდი — ზოგიერთი ფეხბურთელისგან უფრო მეტს ველოდი. მაგრამ ახლა არაფერს დავაკონკრეტებ. ისიცაა, რომ ზოგ ფეხბურთელს ტრავმებმა და უთამაშებლობამ შეუშალა ხელი. ამ ყოველივეს მიუხედავად ვერავინ იტყვის, რომ „ლოკომოტივი" ავურდავურიეთ, ფული დაიხარჯა და შედეგი არ არის — ეს ბუნებრივი პროცესია და კლუბის პრეზიდენტ აკაკი ჩხაიძეს ეს კარგად ესმის — ჩხაიძე მაქსიმალურად ხელს მიწყობდა და საბოლოო ჯამში მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

— სამი წლის წინ თბილისის „დინამოს" ნახევარი სეზონი რომ წვრთნიდით, მაშინ „დინამო" გაცილებით უკეთეს ფეხბურთს თამაშობდა, ვიდრე თქვენი გაწვრთნილი „ლოკომოტივი". თანაც მაშინ „დინამოს" პატრონი არ ჰყავდა. ეს იმის ბრალია, რომ „დინამოში" მუშაობა სულ სხვაა, ვიდრე ნებისმიერ სხვა გუნდში?

— არც უმაგისობაა, მაგრამ, მოდით, „ლოკომოტივში" ჩემი წარუმატებლობა ჩვეულებრივ ამბად მივიღოთ. მწვრთნელს ხან გამოსდის საქმე, ხან არა. თანაც „ლოკომოტივში" არის რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, ვინც ახლა უფრო უკეთ თამაშობს, ვიდრე ადრე.

— 34 წლის ხართ და არის ისეთი რაღაცეები, რაც მხოლოდ და მხოლოდ ასაკთან ერთად მოდის — ხომ არ იჩქარეთ, როცა ამბიციური „ლოკომოტივის" მწვრთნელობაზე დათანხმდით?

— რა თქმა უნდა, ასაკს ბევრი რამ მოაქვს, მაგრამ შენი სისუსტეების დროულად პოვნაც აუცილებელია — „ლოკომოტივში" პირადი ურთიერთობები უფრო მკაცრი უნდა ყოფილიყო და უფრო პრაქტიკული გადაწყვეტილებები უნდა მიმეღო.

— ახალგაზრდულ ნაკრებში მომდევნო შესარჩევ ციკლშიც გააგრძელებთ მუშაობას?

— ფეხბურთის ფედერაციასთან ჩემი თანამშრომლობის საკითხი შესარჩევი ეტაპის წილისყრის შემდეგ გადაწყდება.

— სახელისუფლებო ბლოკში შესვლას და პარლამენტარობას აპირებდით — რატომ გადაიფიქრეთ?

— დილემის წინაშე ვიყავი — ან მწვრთნელობა, ან პარლამენტი. ამ ეტაპზე სამწვრთნელო საქმე ვარჩიე.

დავით თავართქილაძე

ითქვა, ჩემპიონ „დინამოს" ერთადერთ ლეგიონერს, ბრაზილიელ კარლოს დარჩას გუნდიდან წასვლა სურს და რუსული პრემიერლიგის კლუბებმა დაადგეს თვალიო.

კარლოსი დიდი ძალაა „დინამოსთვის", ბრაზილიელს თუ ტრავმა ხელს არ უშლის, სულს და გულს დებს მატჩში და სტაბილურობითაც გამოირჩევა. ბუნებრივია, კარლოსის წასვლა ჩემპიონის ბოლოდროინდელ პროგრესს საგრძნობლად შეაფერხებს

წავალ, მაგრამ დავრჩები

დინამომ კარლოსს კონტრაქტი შეასხენა



ბადრი კვირკველიას ფოტო

ბრაზილიელს ორი ტურია არ უთამაშია ტრავმის გამო და ეს საგრძნობლად დაეტყო გუნდს „ტორპედოსთან" მატჩში. ლაპარაკი ლაპარაკად და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სამხერთამერიკელი „დინამოში" დარჩება.

გუშინ „დინამოს" ხელმძღვანელობამ ცალსახად გამოაცხადა კლუბის პოზიცია — კარლოსს ჩვენთან კონტრაქტი აკავშირებს და მის დასრულებამდე ვერსად წავაო.

გუშინვე თავად ფეხბურთელს დავუკავშირდით.

— გავიგეთ, „დინამოს" დატოვება გსურთ...

— ვფიქრობ, ქართულ ჩემპიონატში შესაძლებლობები, ფაქტობრივად, ამოვწურე. ზრდისთვის უფრო მაღალი დონე მჭირდება და ბუნებრივია, საამისოდ მზად ვარ.

— გამოდის, წასასვლელადაც მზად იქნებით?

— სურვილი ერთია, შესაძლებლობა მეორე. მე „დინამოსთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და თუ კლუბის სურვილი არ იქნა, გამიჭირდება გუნდის დატოვება.

— საქართველოდან წასვლის სურვილი „დინამოს" ბოლოდროინდელ ფინანსურ პრობლემებს ხომ არ უკავშირდება?

— ფეხბურთელამდე პიროვნება ვარ და ჩემთვის გუნდის პოზიცია უპირველესია. ასე ჩათვალეთ, ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ და „დინამოს" გათვალისწინებით ფინანსურ მხარეს მეორე პლანზე ვაყენებ.

— შევიტყვეთ, რომ რუსული კლუბები არიან თქვენით დაინტერესებულნი?

— მეც მსმენია ამის შესახებ, თუმც კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. გადაწყვეტილება მიღებული მაქვს, კონტრაქტის ბოლომდე „დინამოში" დავრჩები, მერე კი წავალ და ჩემს გზას მოვნახავ.

პაატა კვანტალიანი

გიხაროდეთ 2

ცაკარიასი ეროვნულზე იმღერებს

გუშინ ლუის ცაკარიასმა „ლოკომოტივში" ხელმეორედ მისვლის შემდეგ პირველი ვარჯიში ჩაატარა და კლუბის პრეზიდენტ აკაკი ჩხაიძესაც შეხვდა. რკინიგზის შეფმა პერუელ სპეციალისტს ნდობა გამოუცხადა — ცაკარიასს პროექტზე მუშაობას აცლიან, მწვრთნელი დროში შეზღუდული არ იქნება, ცაკარიასს რამდენიმე წარუმატებელ მატს არ გადააყოლებენ. პროექტი იმას ითვალისწინებს, რომ „ლოკომოტივი" აქცენტს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გააკეთებს — ერთი სიტყვით, ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ გუნდის გადახალისებაა მოსალოდნელი.

ცაკარიასს თანაშემწე დაუნიშნეს — გოჩა თამაზაშვილი, ვინც მენეჯერობის გარდა სამწვრთნელო საქმის შესწავლასაც ეშურებოდა გერმანიაში.

მორიგი ლოკომოტივური ამბავი ისაა, რომ ხვალ მეთხუთმეტე ტურის მატჩში გუნდი მშობლიურ „ლოკომოტივზე" ვერ უმასპინძლებს „ბათუმს" — რკინიგზის მიერ ნაგებ სტადიონზე სახელისუფლებო ბლოკი „ერთიანი საქართველოსთვის" კონცერტს გამართავს, ცაკარიასი და მისი ბიჭები კი ბათუმელებს „ეროვნულზე" დაუხვდებიან.

დავით თავართქილაძე



სახელისუფლებო ბლოკმა „ლოკომოტივი" შინიდან გარეთ გაისტუმრა

ძოძუაშვილი გაჩერებაზე

რუსი რუსია, ძველიც და ახალიც: ჯარგი ქართველი ნაგებული ქართველია

რევაზ ძოძუაშვილმა წლევანდელი რუსული სეზონი ვლადიკავკაზის „ალანიას" მწვრთნელად დაიწყო და მალევე, პირველი წრის შუახანს პოსტი დატოვა. მიზეზი „ალანიას" ულიმლამო თამაში იყო, რაც, ძოძუაშვილისვე თქმით, კლუბის არცთუ სახარბიელო ფინანსურმა მდგომარეობამ გამოიწვია. ოსებთან მუშაობისას ქართველმა მწვრთნელმა გუნდს 15 ქულა მოაგროვებინა და თავად ამბობს, რომ სწორედ მისმა მონაგარმა დატოვა „ალანია" რუსულ პრემიერლიგაში.

ვლადიკავკაზიდან წასვლის შემდეგ კი ძოძუაშვილი ერთიორი კვირით შინ ჩამოვიდა, მერე გუდა-ნაბადი აიკრა და დიდ მოსკოვს მიაშურა.

ძოძუაშვილი ახლაც იქარის...

ვაჩარა ფულელიანაძისა ფოტო

— უკვე ექვსი თვეა, მოსკოვში ვარ, რუსულ ფეხბურთში მუშაობა გადავწყვიტე და აქაურ საფეხბურთო სამყაროსთან ასე უფრო ახლოს ვარ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გავიგე რუსულ ფეხბურთზე, ვაკვირდები ფეხბურთელებს, მწვრთნელებს. „ურალანსა" და „ალანიაში" მუშაობამ რუსულ ფეხბურთზე წარმოდგენა კი შემიქმნა, მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ შესაბამისი გამოცდილება არ მქონდა. აქაური ფეხბურთი სპეციფიკურია და რუსული პრაქტიკა თუ არ გაქვს, ვერაფერს მიაღწევ. რუსულ ფეხბურთში დებიუტანტი მწვრთნელები მიღწევებით ვერ დაიკვეხნიან. ერთი პეტჟელკაა, რომელიც „ზენიტს" წვრთნის, გარკვეული შედეგი რომ აჩვენა, ისიც, ვფიქრობ, ქალაქ სანკტ-პეტერბურგის დამსახურება უფროა, ვიდრე თავად მწვრთნელის. პეტერბურგულ გუნდს ვერავინ დაჩაგრავს. მოკლედ, აქ ყოფნისას ვცდილობ, გავიცნო რუსული ფეხბურთის ახალი თაობა, დავუახლოვდე ამ სამყაროს და უკვე იმ წრეში ვარ, რომელიც დროებით უმუშევრად ითვლება. რომელიმე გუნდში მწვრთნელის ადგილი რომ გათავისუფლდება, მეც დამიკავშირდებიან. იქამდე კი, როგორც ვთქვი, ვსწავლობ აქაური ფეხბურთის ავკარგს და ცოდნას ვაგროვებ. დარწმუნებული ვარ, რუსეთში ჩემს სიტყვას კიდევ ვიტყვი.

— მწვრთნელობის თქვენნაირი სტაჟი ბევრს არ აქვს, თუმც მაინც გამოუცდელობაზე ლაპარაკობთ. ნუთუ ასე შორს იყო ძოძუაშვილისგან რუსული ფეხბურთი?

— შორს არ იყო, მაგრამ აქ ბოლო ხანს ბევრი რამ შეიცვალა. ახალი თაობა ტყუილად არ მიხსენებია, ახალ ხალხს კი ახლებური ხედვა აქვს. ახლა ვცდილობ, მათ ფეხი ავუწყო.

— პრემიერლიგის დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა და უკვე უნდა დაიწყოს ლაპარაკი, რომელ გუნდში თავისუფლდება მწვრთნელის ადგილი. არაფერი გსმენიათ?

— კი, ასეც იქნება, თუმც ამგვარ საკითხებზე ხმამაღლა ჯერ არავინ საუბრობს. სეზონის დამთავრებას ელიან და მერე ნელ-ნელა წინადადებებიც მოვა.

— რომ არ მოვიდეს?

— მოვა, ვარიანტი არ არის რამდენიმე კლუბმა მწვრთნელი არ გაუშვას.

— მოსკოვურ გუნდებს უმიზნებთ?

— არა, რუსული პრემიერლიგის ნებისმიერ გუნდში ვიმუშავებ, თუმც ჩემი ერთი აუციებელი პირობა ასეთია — გუნდი ამბიციური უნდა იყოს და ისეთი ინფრასტრუქტურა ჰქონდეს, რაც მაღალი ადგილებისთვის ბრძოლის საშუალებას მოგვცემს.

— ალბათ ქართველი ფეხბურთელების რუსეთში წასვლას მაშინ უფრო უნდა ველოდოთ, როცა სამუშაოს იპოვით...

— ჩემი გაზრდილი ქართველი ფეხბურთელების უმეტესობა რუსულ კლუბებში უკვე თამაშობს. ბოლო ლომაია იყო, ვინც აქ ჩამოვიდა. არ არის გამორიცხული, ლატვიელი ქართველებიც რუსეთში წამოვიდნენ. ვნახოთ, რა როგორ იქნება, ჯერ სამსახური ვიშოვო.

— რუსეთი—საქართველოს მატჩს ესწრებოდით. მოედანზე რაც მოხდა, ყველამ ვნახეთ, თანაც მას შემდეგ უკვე სამი კვირა გავიდა. აი, იმ სამყაროში, სადაც თქვენ ტრიალებთ, როგორი გამოხმაურება მოჰყვა 11 ოქტომბრის შეხვედრას? რა თქვეს რუსებმა?

— ჯერ ის ვთქვათ, რომ მეგობრობის კიდევ ერთი ხიდი გაიდო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. ფეხბურთსაც შეუძლია ქვეყნებს შორის ზოგად პოლიტიკაზე გავლენა იქონიოს. ეს იყო მეგობრული ჟესტი — ასე ამბობენ ამ სამყაროში. თამაში კი კარგი საცქერი გამოდგა, რაღაც პერიოდი დაძაბულობაც იგრძნობოდა. ერთ ამბავს გეტყვით: ნამატჩევს ერთბაშად ხუთი ქართველი ქუჩაში შევხვდით ერთმანეთს და საკმაოდ ხმამაღლა ვსაუბრობდით. ასეთ დროს კი, იცით, მოსკოვური მილიცია რა ზომებსაც მიმართავს ხოლმე. მოგვიახლოვდნენ და, საბუთებიო, თუმც საქმე აქამდე არ მისულა, ქართული რომ გაიგეს, კეთილად დაგვშორდნენ, მატჩი რამდენიმე წუთის დამთავრებული იყო. რუსებისთვის იმ დროს ქართველზე კარგი არავინ იყო, გცოდნიათ მეგობრობაო. ასე გაგვისტუმრეს სამართალდამცავებმა.

ძოგა ინასარიძე

ოლდ ტრეფორდზეც ორი ქართველით

შოთა არველაძე ტრავმას „მანჩესტერისთვის" მოირჩენს

შოთა არველაძე 22 ოქტომბერს „რეინჯერს" — „მანჩესტერის" მატჩში ისე დაშავდა, რომ ორი თამაში გამოტოვა. დღეს ტყუპისცალი იძულებითი პაუზის შემდეგ გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშებს. როგორც შოთამ გვითხრა, გარი ნევილის მიერ დაზიანებული კოჭი კვლავ აწუხებს, მაგრამ 1 ნოემბერს „პარტიკის" წინააღმდეგ რამდენიმე წუთს ალბათ ითამაშებს. მოკლედ, ალექს მაკლიში და ჩვენებური ფორვარდი ჩქარობენ, რადგან მომავალ კვირას ჩემპიონთა ლიგა განახლდება — 4 ნოემბერს არველაძე-ხიზანიშვილი „ოლდ ტრეფორდზეც" მოუსინჯავენ კბილებს „მანჩესტერ იუნაიტედს".

საბოლოოდ გაირკვა რონალდ დე ბურის საკითხი — ის ახალ წლამდე ვერ შეეშველება „რეინჯერსს". სანერვიულო აქვს „მანჩესტერსაც" — პოლ სქოულზს საზარდულის კუნთი ისე დაეჭიმა, რომ 4 ნოემბერს მისი მინდორზე გასვლა გამორიცხულია.

დავით თაგვართქილაძე

ზაპოროჟიეს „მეტალურგი" დალხენილ ჯლუბად სულაც არ ითვლება. ფინანსურმა პრობლემებმა ფეხბურთელები ააჯანყა და ამან, ცხადია, შედეგებზეც იმოქმედა – მეტალურგები უმაღლესი ლიგიდან გავარდნის ჯანდიდატები არიან. უკრაინული ჯლუბის 18 წლის ქართველ თავდამსხმელ ირაკლი მოდებაძეს ჯი ხელფას-პრემიის გარდა ჯანმრთელობამაც აქცია ზურგი, ამ სეზონში ერთადერთხელ გამოჩნდა მოედანზე და... თოთხმეტ წუთში ისევ შესაცვლელი გახდა. ჯოჭის ტკივილის გამო მოდებაძე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებსაც ვერაფერში შეეშველა.

ირაკლის ზაპოროჟიეში გუშინ შევეხმიანეთ და პირველი, ცხადია, ჯანმრთელობის ამბავი ვკითხეთ

მოდებაძე არ ჩივის, მოდებაძეს სტკივა

— ფეხმა გამაწამა. ჯერაც ვერ ვვარჯიშობ, ყოველდღე ექიმებთან დავდივარ. ტკივილებს ისევ ვგრძნობ და ალბათ კარგა ხანს ვერ ვითამაშებ.

— არ იცი დაახლოებით, როდისთვის გამოჯანმრთელდები?

— არა, ვერ მეუბნებიან. ვფიქრობ, პირველ წრეში ველარ ვითამაშებ. არც ის ვიცი, ვარჯიშს როდის დავიწყებ.

— მგონი, ეგ კოჭი ადრეც გაწუხებდა...

— ჰო, ადრეც ბევრი გავაცდინე ამის გამო. ორი ტურის წინ თითქოს საბოლოოდაც მოვიშუშე, მაგრამ მოედანზე ხეირიანად გასულიც არ ვიყავი, ისევ ამტკივდა. მაშინვე შეცვლა მოვითხოვე.

— კლუბზეც ვთქვათ. გავიგეთ, „მეტალურგში" ფინანსური კრიზისი ყოფილა.

— უკვე სამმა ფეხბურთელმა უჩივლა ხელმძღვანელობას. მგონი, ეს ამბავი ჯერ უეფამდე არ მისულა, მაგრამ თუ ამ ბიჭებმა უკრაინაში ვერ მიაღწიეს სასურველს, უეფაშიც იჩივლებენ.

— შენ არ გქონია ასეთი პრობლემა?

— ამ ჩივილამდე არც ჩვენ გვაძლევდნენ ხელფასებს. ახლა სიტუაცია შედარებით გამოსწორდა.

— ესე იგი, კლუბს ისევ უჭირს?

— მთლად ეგრეც ვერ ვიტყვი. მართალია, ფული თავზესაყრელად არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, ხელმძღვანელობა უფრო ცუდი შედეგების გამო არ გვაძლევდა კუთვნილს. და თუ გვაძლევდნენ, ისიც ძალიან დიდი დაგვიანებით. ამას ყველა ვერ აიტანდა და შედეგიც სახეზეა.

— ასეთ კლუბში გაჩერებას აპირებ?

— არ ვიცი. ახლა ამაზე არ ვფიქრობ. მთავარია, ფეხი მოვირჩინო. ასეთ დღეში სად წავალ...

— „მეტალურგიდან" წასვლა ადრეც გინდოდა, მაგრამ კლუბმა შენი გაშვება არ ისურვა...

— „მეტალურგს" მთლიანად მაინც არ ვეკუთვნი. თან 31 დეკემბერს კონტრაქტი ისედაც მიმთავრდება.

— აბა, ვისი კუთვნილება ხარ?

— ადრე არსებობდა საფეხბურთო კლუბი „გოლეადორი", რომელიც მერე დაიშალა. იმ კლუბის პრეზიდენტს აქვს ჩემი ტრანსფერის უფლება.

— 31 დეკემბერი შორს არ არის...

— ჰაერში არ გამოვეკიდები. კარგა ხანია, ხელმძღვანელობამ ახალი კონტრაქტი შემომთავაზა, მაგრამ თავს ვიკავებ. ეგებ დავრჩე კიდეც, ზუსტად არ ვიცი. ტრავმა რომ არა, სხვაგან გადასვლაზე უფრო სერიოზულად ვიფიქრებდი.

ძახა ზალამბერიძე



ვაჩარა ფულელიანაძისა ფოტო

ირაკლი მოდებაძეს (№11) მტკივანი კოჭი თამაშის საშუალებას არ აძლევს



„რეალის“ დაწუნებულმა გაბრიელ მილიტომ რონალდოს ფეხი არ გაანძრევინა

მიცანით? მილიტო ვარ!

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
IX ტური

სარაგოსა 0:0 რეალი

სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო, ალვარო, მილიტო, ტოლედო, გალეტი, სავიო (ჩანი 77), პონციო, კორონა (ინიაკი 86), სორიანო, ვილა
მწვრთნელი:
რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ი. ელგერა, გუტი, ზიდანი (პორტილიო 86), რაული, რონალდო (სოლარი 76)
მწვრთნელი: კარლუშ კეირუში
გაფრთხილება: **პავონი, პონციო, ელგერა, პავონი, სორიანო**
გაძევება: **პავონი (72)**
მაყური: **მეხუტო გონსალესი**
35 000 მაყურებელი

როცა გრანდი და ისე რა გუნდი ფრედ თამაშობენ, ამბობენ, გრანდმა ორი ქულა დაკარგა, იმ მეორემ კი ეროი ქულა მოიპოვაო. ალბათ ამ მატჩის თაობაზეც ასე უნდა ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ „რეალი“ სტუმარი იყო და ბოლო ოცი წუთი სულაც ათი ფეხბურთელით მოუწია თამაში — 72-ე წუთზე მადრიდელთა ცენტრალური მცველი ფრანსისკო პავონი მსაჯმა მეორე ყვითელი ბარათით გაუყენა გასახდელის გზას.

„რეალს“ ლიდერობის თუნდაც მცირე ხნით დაბრუნება ეწადა და თამამადაც შეუტია პრიმერაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ „სარაგოსას“. მაგრამ სტუმრებს არაფერი გამოუვიდათ, რაკი მასპინძელთა დაცვის ცენტრში თავგანწირვით და ჩინებულად ირჯებოდა არგენტინელი გაბრიელ მილიტო. დიახ, სწორედ ის მილიტო, სეზონის წინ „რეალის“ ექიმებმა რომ დაიწუნეს, ეგ ბიჭი რაღაც ჯანზე ვერ არისო. მილიტომ კი სამშობლოში დაბრუნება არ ისურვა, „სარაგოსას“ შეეკრა და მაშინვე დაიქადნა, ისე ვითამაშებ, ეგებ „რეალის“ ბოსებმა თითზე იკბინონო. აკი, აკბენინა კიდეც.

თუმცა უნდა ითქვას, რომ მადრიდელებს პავონის გაძევების მერეც არ მოჰკლებიათ ბრძოლის ჟინი. მომენტებიც ბლომად ჰქონდათ: გნებავთ რაულს, გნებავთ ზინედინ ზიდანს რამდენიმე უაღრესად ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ. რობერტო კარლოსმა კი სულაც ძელს გაარტყა.

ისე, ბურთი ძელს სარაგოსელებმაც გაარტყეს. ეს ლუჩანო გალეტიმ მოახერხა დაახლოებით ათი მეტრიდან.

ტურის რვა მატჩი კი გუშინ გაიმართა, ერთიც, „ატლეტიკო“ — „სოსიედადი“, დღესაა.

კოტე კეკელია

ARAGONESMA ETOO OVNISAMDE GADADO





სამუელ ეტოოს ლუის არაგონესმა გადააფიქრებინა

„მალიორკას“ კამერუნელ ფორვარდ სამუელ ეტოოს პრიმერადივიზიონის მაჩანჩალათა შორის ყურყუტი მოსწყინდა. კუნძულელთა მთავარმეკლეს უკეთეს კლუბში გადასვლა სწადია და ამის შესახებ კიდეც თქვა: „მალიორკაში“ ჩემი ყოფნის დრო მგონი ამოიწურა. გუნდში პერსპექტივას ვერ ვხედავ, მე კი წარმატებები მწყურია. აქ თავი არ დამიზოგავს, მაგრამ ჩემპიონატის ცხრილს რომ ვხედავ, გული მწყდება. გაცილებით მეტს ვიმსახურებ“.

ეტოოს გადაბირების მსურველები გასულ ზაფხულს მრავლად იყვნენ. მათ შორის „ვალენსია“, „ლივერპული“ და, რასაკვირველია, „ჩელსი“.

ფეხბურთელის ნათქვამმა „მალიორკას“ მწვრთნელ ლუის არაგონესის ყურამდე მიაღწია. იგი კამერუნელს შეხვდა და მომავალზე ორიოდ სიტყვა უთხრა.

„ჩვენ გულახდილად ვისაუბრეთ და ყველაფერი გავარკვიეთ. ცხადია, მას კლუბის პატრონთან პრეტენზიები აქვს, მაგრამ ვთხოვე, ვითარება არ გაეძწვავებინა. საბოლოოდ შევთანხმდით, რომ ეტოო ივნისამდე მოიცდის, ანუ ამ სეზონში დარჩება, მერე კი წასვლას არ დავუშლით“.

ვაჟა ხუციშვილი

სილამაზის ერთგული ჯარისკაცი

მაშინ ეპოქა დაიწყო დიდი



ზუსტად 30 წლის წინ, ერთ არაფრით გამორჩეულ, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ფრიად მნიშვნელოვან დღეს, კატალონიურ „ბარსელონაში“ ოქროს ხანა დაიწყო — დიდმა ამსტერდამელმა იოჰან კრუიფმა ჩრდილოეთის მკაცრი ჰავა ესპანეთის ხავერდოვან კლიმატზე გაცვალა და იქაურმა პრიმერადივიზიონმაც მონიწებით მოირგო შეუდარებელი ჰოლანდიური სამკაული. ამ საპატიო თარიღთან დაკავშირებით უკვე ჭარმაგ ჰოლანდიელს კატალონიური „სპორტი“ ესტუმრა

— „გრანადასთან“ თქვენი დებიუტიდან უკვე ოცდაათი წელი გავიდა. დამეთანხმებით, მცირე დრო არ არის.

— ვერ გეტყვით, რომ იმ პერიოდის მიმართ მძიმე ნოსტალგია მაქვს, მაგრამ როდესაც განვლილ წლებს გადავხედავ, სიამაყის გრძნობა მეუფლება. ვერავინ და მათ შორის მეც ვერ წარმოვიდგენდი, თუ რა მოხდებოდა მას შემდეგ, რაც ბარსელონაში მეულლესთან და ორ ქალიშვილთან ერთად ჩამოვედი. ხორდი, ჩემი შვილი, მომდევნო წელს დაიბადა. შემდეგ ყველაფერი ისე აეწყო, როგორც სიზმარში. ბრწყინვალე გუნდში ვითამაშე, მთავარი მწვრთნელიც ვიყავი და ევროპაში „ბარსასთან“ ერთად მნიშვნელოვან წარმატებებსაც მივაღწიე. ამ გუნდთან ისეთი გრძნობები მაკავშირებს, რასაც სიტყვით ნაღდად ვერ გამოხატავ.

— „ბარსელონაში“ ამსტერდამის „აიაქსიდან“ გადმოხვედით. ასეთი ტიტულიანი გუნდის მიტოვება თქვენი კარიერისთვის გარკვეული რისკის ტოლფასი ხომ არ იყო?

— ახალი განცდებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენა მწყუროდა. „აიაქსში“ მაშინ უკვე ბევრი რამ გავაკეთე და დრო იყო, ბედი სხვა კლუბშიც მეცადა. „ბარსელონაზე“ პირველი წარმოდგენა რინუს მიხელსმა შემიქმნა, მისგან ბევრი რამ შევიტყვე ესპანეთის შესახებ. თუმცა ისიც მინდა გითხრათ, რომ თუ საკუთარი თვალით არ ნახავ ამ ქვეყანას, სხვისი მონათხრობიდან მასზე ვერაფერს ვერ გაიგებ. მერე იყო აღმავლობის ეპოქაც და უიღბლობის წლებიც, მაგრამ მაშინდელ ჩემს გადაწყვეტილებას, პირნეებზე ჩამოვსულიყავი, არ ვნანობ.

— 1973 წლის 28 ოქტომბერზე რას იტყვით?

— ესპანეთში ჩემი პირველი მატჩიდან ის მახსოვს, რომ „გრანადასთან“ 4:0 მოვიგეთ და ორი გოლი მე გავიტანე. უფრო სასიამოვნო მოსაგონარი კი იმ სეზონში წარმატებული შეხვედრების შემდეგ პრიმერადივიზიონის ჩემპიონობაა.

— იმჟამინდელი „ბარსელონა“, ანუ სოტილი, მარსიალი და კომპანია კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო...

— მართალია, ჩემს ძველ „აიაქსს“ ვერ შევადარებ (ის კლუბი საერთოდ უკონკურსოა), მაგრამ ცუდად არც მაშინდელ ბარსელებს გვითამაშია. შესანიშნავი შემადგენლობა გვყავდა.

— მაინც ვინ არის ბარსელონელი იოჰან კრუიფი — მწვრთნელი თუ ფეხბურთელი?

— განა ძნელი იქნება ამ შეკითხვაზე ჩემი პასუხის გამოცნობა? დამრიგებლობამაც ბევრი სიხარული მომიტანა, მაგრამ მე უპირველეს ყოვლისა მაინც ფეხბურთელი ვარ. მწვრთნელიც აქტიური ფეხბურთის სიყვარულით გავხდი. აბა, სად უნდა წასულიყო კრუიფი, როდესაც მისი, როგორც მობურთალის კარიერა დასრულდა? სხვაგვარად არ შემეძლო.

— დღევანდელ ფეხბურთზე რას ფიქრობთ?

— წარსულთან შედარებით მეტისმეტად ძალისმიერი და სწორხაზოვანია. ტექნიკური არსენალი ფიზიკურმა ასპექტებმა შთანთქა და ამასთან შერიგება ყოვლად დაუშვებელია. სანახაობრივი თამაშის განვითარებას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, რათა სტადიონზე მოსული ხალხი შინ გაწყენილებული არ დაბრუნდეს. FUTBOL GRACIOSO-ს გამომგონებელი ნამდვილად არა ვარ, მაგრამ მთელი ჩემი სპორტული გზის განმავლობაში ოდენ მისი ფილოსოფიის მიმდევარი ვიყავი.

— ესე იგი მსოფლიოს ფეხბურთი მარტო შედეგიანობით...

— ვიცი, რაც უნდა მკითხოთ. შედეგი, რა თქმა უნდა, უმთავრესია, მაგრამ თუ ფეხბურთი მართლა გიყვარს, უსიცოცხლოდ მშრალ ანგარიშს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ მიანიჭებ. ბედნიერი ვარ, რომ „ბარსასთან“ ერთად ლამაზი თამაშის ერთგული ჯარისკაცი ვიყავი. მინდა, ყველამ იცოდეს — იოჰან კრუიფი მისი ცხოვრების განუყრელი მეგობრის, მარად ბრწყინვალე ფეხბურთის თაყვანისმცემელი რჩება!



REUTERS-ის ფოტოდან

ვერდერი — ვოლფსბურგი. აილტონის გოლმა „მგლები“ გატეხა

კანის ფესტივალი მიუნხენში

გერმანია

თასის VIG ფინალი

ზანკტ პაული 2:3დ.დ.(1:1) *ლიუბეკი*
ვოლფსბურგი (8) 2:3 *კიოლნი*
ჰანზა 2:2დ.დ.(პენ.3:4, 1:1) *ჰერტა*
***ვერდერი* 3:1დ.დ.(1:1) ვოლფსბურგი**
ბურგჰაუზენი 0:1 *შტუტგარტი*
***ბაიერნი* 1:დ.დ.(პენ.7:6, 1:1) ნიურნბერგი**

მიუნხენის „ბაიერნმა“ 120 წუთში მეორე ბუნდესლიგელ „ნიურნბერგს“ ვერაფერი დააკლო და მხოლოდ პენალტების სერიაში ოლივერ კანის ყოჩაღობით იძალა.

ოტმარ ჰიცფელდმა ლიზარაზუ, დემიკელისი და დაისლერი დაასვენა. ძირითად შემადგენლობაში იყვნენ ბალაკი, ზე რობერტო, შოლი, პიზარო და მაკაი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეტოქე გვარიანად გაუძალიანდათ.

სტუმრები მე-11 წუთზე რობერტ ვიტეკის გოლით დაწინაურდნენ და შემდეგ დაცვაში ჩასხდნენ. მასპინძლებმა ტაიმის მიწურულს როი მაკაის წყალობით გაათანაბრეს. ჰოლანდიელი მასში გადახდილ ფულს თითქმის ყოველ მატჩში გატანილი გოლით ამართლებს.

მეორე ტაიმში „ბაიერნს“ არაერთი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, მაგრამ იღბალი ნიურნბერგელებს მიემხრო. დამატებითი დროც უგოლოდ დასრულდა და საქმე პენალტებამდე მივიდა. ორივე გუნდის ფეხბურთელები უნაკლოდ ასრულებდნენ დარტყმებს, მაგრამ ბოლოს ოლივერ კანის ოსტატობამ სტუმრები თასის გათამაშებიდან დაითხოვა.

„შტუტგარტის“ გამჩერებელი პირველ ბუნდესლიგაში არავინაა და „ბურგჰაუზენი“ რას გახდებოდა. მაგათის შეგირდებმა ერთბურთიანი სხვაობით კი მოიგეს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მწვრთნელს შესვენებისას შეცვლამ გაუმართლა. კაკაუს მაგივრად იმრე საბიჩი შევიდა და ათ წუთში გამარჯვების გოლი გაიტანა.

ჰუუბ სტეევნსი ალბათ ბერლინის „ჰერტას“ თავკაცად დარჩება, რადგან ბოლო ორ მატჩში დედაქალაქელებმა თამაში გამოასწორეს. „ჰანზას“ ზედიზედ ორჯერ როსტოკში შეხვდნენ. გასულ უქმეებზე 1:0 სძლიეს, ახლა კი თასიდან მიაბრძანეს.

ბერლინელები ლუიზაოს გოლით პირველ ტაიმში დაწინაურდნენ, მაგრამ მეორეში ლანცმა გაათანაბრა და მატჩი დამატებით დროში გაიწელა. აქ უკვე ლანტცმა „ჰანზას“ ქომაგები გაახარა, თუმცა ლუიზაოს ნაცვლად შესულმა რაფაელმა 120-ზე მაინც გაქვითა და „ჰერტას“ პენალტების შანსი დაუტოვა, რომელიც ბერლინელებმა უკეთ შეასრულეს.

„ჩემი მოთამაშეების მადლიერი ვარ — თქვა ნამატჩევს ჰუუბ სტეევნსმა — ორი კვირის მანძილზე მათ მხარდაჭერას ვგრძნობ და შედეგიც სახეზეა“.

„ვოლფსბურგს“ სეზონის დაწყებიდან ფრე არ ეთამაშა და ზავი ბრემენში „ვერდერთან“ გაახერხა. „მგლები“ პაბლო ტაიმის წყალობით მეექვსე წუთზე იგებდნენ. შესვენების შემდეგ აილტონმა საპასუხო გაიტანა. ვოლფსბურგელებმა დამატებით დროში ვეღარ გაუძღეს „მუსიკოსთა“ შეტევებს. ჯერ იოან მიკუმ, შემდეგ კი ხარისტიასმა „მგლების“ დაჩოქება შეძლეს და „ვერდერი“ მერვეფინალში გაიყვანეს.

ვაჟა ხუციშვილი

„მონპელიე“ — „კლერმონი“ სენსაციურად დამთავრდა

ჩემპიონებზე სვამენ ცივ წყალს

საფრანგეთი

თასის VIG ფინალი

აიაჩო 2:2დ.დ.(პენ.1:4, 1:1) *ნიცა*
ოსერი* 1:0 *რენი
მეცი* 3:0 *გენგამი
მონპელიე 0:1 *კლერმონი*
***ნანტი* 3:1დ.დ.(1:1) ნანსი**
სტრასბური 0:1 *ბორდო*
ტრუა* 2:1დ.დ.(0:0) *კრეტეი
ლანსი 1:1დ.დ.(პენ.3:4, 0:0) *ლიონი*
სენტ ეტიენი* 1:0 *ბოვე
სედანი* 2:0 *ლორიანი

დაახლოებით ერთი თვის წინანდელი მარცხისთვის (0:4) „ლანსმა“ „ლიონზე“ ჯავრი იყარა და ჩემპიონი ლიგის თასიდან დაიფრინა. ლანსელებს ისიც კარგად ახსოვდათ, როცა „ლიონმა“ ბოლო ტურში „წითელ-ყვითლებს“ სძლია და საჩემპიონო გვირგვინი დაიდგა.

„ფელიქს ბოლერზე“ გუნდებმა 90 წუთი მუქთად გაატარეს და საქმე დამატებით დრომდე მიიყვანეს. აქ სტუმრები პეგი ლუინდულამ დააწინაურა, მასპინძელთა პოლონელმა ლეგიონერმა იაცეკ ბაკმა კი გაათანაბრა. საპენალტე ლატარიაში „ლანსმა“ ლუინდულას გაცუდებული დარტყმის ხარჯზე იმარჯვა.

„სტრასბური“ წინა ტურში შინ „მეცთან“ (0:2) დამარცხდა, ახლა თასზე „ბორდოსთან“. სტრასბურელებს ორმატჩიანი უგოლობის სენი შეჰყრიათ, ჟირონდელთა ახალმა თაეკაცმა მიშელ პავონმა კი სამწვრთნელო კარიერაში ისტორიული, პირველი გამარჯვება იზეიმა. ზაფხულში შეძენილმა ბრაზილიელმა დეივიდმა ერთადერთი გოლი პირველ ტაიმში შეაგდო და „ბორდომ“ სასურველი ანგარიშის შენარჩუნება შეძლო.

„ოსერმა“ გასულ უქმეებზე გირუ „მონპელიესთან“ წაგების გამო ანერვიულა, ახლა კი მოხუცს ხასიათი გამოუკეთა. ბურგუნდიელებმა „რენს“ ბუნავენტურე კალუს წყალობით სძლიეს.

ჩემპიონატში „სტრასბურის“ დაჩოქების შემდეგ მეცელები იშტაზე მოვიდნენ და, როგორც ჩანს, გუნდმა თამაში საამოდ ააწყო. მათი მორიგი მსხვერპლი „გენგამი“ გახდა. პირველი ტაიმის ათწუთიან მონაკვეთში მორენომ და მალუდამ სათითაოდ გაიტანეს, შესვენების შემდეგ კი მესამე ბორბიკონმა მიამატა.

„ნიცა“ ამ სეზონში „აიაჩოს“ ერთხელ უკვე გადაეყარა და ის მატჩიც ზუსტად ასევე (2:2) დამთავრდა. გუნდებმა იგივე ანგარიში გაიმეორეს, მაგრამ პენალტები „ლაჟვარდოვანებმა“ კუნძულელებზე უკეთ შეასრულეს.

მასპინძლები დიომედმა მესამე წუთზევე დააწინაურა, ხოლო სტუმარმა მესლინმა მეორე ნახევარში გაქვითა. დამატებით დროში „ნიცა“ ბინეს გოლით იგებდა, მაგრამ აიაჩოელმა მორაჩინიმ გაათანაბრა. „ლაჟვარდოვანებმა“ თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ოთხი გაიტანეს, კუნძულელებმა კი ოდენ ერთი.

„მონპელიეს“ მარცხი მეორედივიზიონელ „კლერმონთან“ მოულოდნელი იყო, რადგან „მონპელიემ“ წინა ტურში „ოსერი“ სტუმრად დააჩოქა. კლერმონელი დენკინის მიერ მე-13 წუთზე გატანილს მასპინძლებმა ვერაფრით უპასუხეს.

კიდევ ერთი მეორედივიზიონელი „ნანსი“ „ნანტს“ გაუძალიანდა და მხოლოდ დამატებით დროში დაეცა. „ბოჟუარზე“ უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: ნანსელმა დიუფრენსმა 65-ე წუთზე თავისიანები დააწინაურა, მაგრამ სენსაციას გამოცხობა ნიკოლა სავინომ არ აცალა, რომელმაც ბოლო წუთზე გათანაბრება შეძლო. სტუმრები ამის მერე გატყდნენ და ორი გოლი გაუშვეს.

ვაჟა ხუციშვილი

ამოცნობილი მფრინავი ობიექტი დეკომ მსაჯს ფეხიდან ესროლა



გასულ ორშაბათს პორტუგალიელ დერბი გაიმართა. „ბოავიშტამ“ „პორტუს“ უმასპინძლა და 77-ე წუთზე ალეინიჩევისგან გაშვებული გოლით დამარცხდა.

გოლიდან ორ წუთში გაპორტუგალიელებულ ბრაზილიელს, უეფას თასის მფლობელსა და შარშანდელ სეზონში ბრწყინვალედ მოთამაშე დეკო სოუზას ემმაკები შეუჩნდნენ. იგი მეტოქეს ეუხეშა, მსაჯისგან მეორე ყვითელი ბარათი დაიმსახურა, რომელიც წითელში გადაიზარდა და მოედნიდან მიაბრძანეს.

წითელი ფერის დანახვით გახელებულმა ფეხბურთელმა არბიტრს ბუცი ესროლა. პორტუგალიურ სპორტულ გაზეთებში გამოჩნდა ფოტოები, რომელზეც კარგად ჩანს: დეკოს მარცხენა ფეხზე არაფერი აცვია, მისი ბუცი კი მსაჯისკენ მიფრინავს.

ეს ამბავი იქაურ დისციპლინარებს, ცხადია, გაურჩეველი არ დარჩებოდათ. წითელი ბარათის გამო პორტუელი მომდევნო მატჩს გამოტოვებს, მაგრამ მას გაცილებით მკაცრ სასჯელს უმზადებენ.

ფეხბურთის ფედერაციაში ამ ფაქტის განხილვის შემდეგ ითქვა, რომ თავხედს შესაძლოა ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერონ.

დეკო სოუზას ჩემპიონთა ლიგაშიც სამი ყვითელი ბარათი მოუხვეჭია და 4 ნოემბერს „მარსელთან“ მატჩს უეჭველად დაკლდება.

ვაჟა ხუციშვილი

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები)
დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ



თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით
ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

REUTERS ლიდსიდან

ლიდსი — მანჩესტერ იუნაიტედი. ერიკ ჯემბა-ჯემბას (№19) გამარჯვების გოლი

ესროლეს და ისროლა

ბოთლომანი სმიტის ლიდსი ჯემბა-ჯემბამ დაფშვნა

ინგლისი

ლიგის თასი. III ეტაპი

არსენალი 1:1დ.დ.(პენ.9:8, 1:1) როტერჰემი
ბლეკპული 1:3 კრ. პალასი
ბრისტოლი 0:3 საუთჰემპტონი
ლიდსი 2:3დ.დ.(1:1) მანჩესტერ იუნ.
ძუინზ პარკი 0:3 მანჩესტერ სიტი
ვულვერჰემპტონი 2:0 ბარნლი
ბოლტონი 2:0 ჯილინგემი
რედინგი 1:0 ჰადერსფილდი

ინგლისის თასის მესამე ეტაპის მატჩები გაიმართა — ნაწილი გუშინ, ნაწილი კი, გუშინწინ. აქ გუშინწინდელ მატჩებზე ვთქვათ.

კაცმა რომ თქვას, სალაპარაკო მხოლოდ ორ შეხვედრაზე გვაქვს. ერთი ლონდონის „ჰაიბერიზე“ გაიმართა, მეორე კი ლიდსის „ელანდ როუდზე“. აბა, სხვა თამაშებზე რა არის სათქმელი, როცა ყველა მათგანი ლოგიკური შედეგით დასრულდა. ისე, ნახსენები ორი მატჩიც ლოგიკურად დამთავრდა, ვისაც მოგება მეტად ერგებოდა, იმათ მოიგეს, მაგრამ თავად თამაშების მიმდინარეობა იყო ისეთი, გვერდს ვერ ავუვლით.

მაშ, ასე, „ჰაიბერიზე“ ინგლისისა და საერთოდაც მსოფლიოს ერთერთმა საუკეთესო გუნდმა „არსენალმა“ არათუ მსოფლიოს, თვით ინგლისის საზომებითაც ჰატარა გუნდს, „როტერჰემს“ უმასპინძლა.

არ გაგიკვირდებათ თუ ვიტყვით, რომ არსენ ვენგერმა პირველდივიზიონელის წინააღმდეგ თითქმის მთლიანად მეორე შემადგენლობა ათამაშა. რაკიღა „არსენალი“ პრემიერლიგის ჩემპიონობისთვის იბრძვის და ჩემპიონთა ლიგაც მძიმე ტვირთად აქვს ზურგზე წამოკიდებული, ლოგიკური გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ამავდროულად სარისკოც.

ასეც მოხდა — „მეთოფეთა“ რეზერვისტის, ფრანგი ჟერემი ალიადირეირის ადრეულ გოლს მასპინძელთათვის თითქოს იოლი გამარჯვება უნდა მოეტანა. მაგრამ თამაშში მეტი გოლის გატანა „არსენალმა“ ვეღარ მოახერხა. არადა, მართებდა — სილვენ ვილტორდმა პენალტი გააფუჭა. და როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და „არსენალიც“ ერთბურთიანი უპირატესობით აპირებდა დაყაბულებას, გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: დარენ ბაიფილდმა ბოლო წუთზე გაათანაბრა.

მოგახსენებთ, რომ ინგლისელებმა გადათამაშება უარყვეს და აქედან გამომდინარე თამაში დამატებით დროში გაგრძელდა. აქ მასპინძელთათვის საამური რამ მოხდა, სტუმრებს მეკარე მაიკ პილოტი გაუძევეს. თუმცა „არსენალმა“ ამგვარი საჩუქარი ვერ შეირგო და საქმე პენალტების სერიამდე მივიდა.

რაოდენ დაძაბული სერია იყო, ანგარიშიდანაც ჩანს. ხუთ-ხუთი ზუსტი დარტყმის მერე თამაში პირველ გაფუჭებულ პენალტზე მიდგა. როტერჰემელთა მეცხრე დარტყმა კრის სუაილისის იყო და სწორედ ის გახდა პირველდივიზიონელთა დამღუპველი. მან ააცილა, არადა, რომ გაეტანა, ვინ იცის, ეგებ დიდზე დიდი სენსაცია გამომცხვარიყო. სუალისის მერე ბურთთან ზემოთ ნახსენები გაფუჭებული პენალტის ავტორი სილვენ ვილტორდი მივიდა და მეორე ცდაზე თავი აღარ შეურცხვენია. ამგვარად, „როტერჰემს“ „ჯაიანტ კილერობამდე“ სულ ცოტა დააკლდა.

დავძინოთ, რომ არსენ ვენგერმა ყმაწვილი ესპანელი ფრანსისკო ფაბრეგასიც ათამაშა, ვინაც ოდესმე „არსენალის“ მაისურის მომრგები უყრმესი ფეხბურთელი შეიქნა. გუშინწინ, მატჩის დღეს იგი 16 წლის და 177 დღისა იყო. ძველი რეკორდი კი ჯერმენ პინანტს ეკუთვნოდა, რომელიც 1999 წელს „მიდლსბროსთან“ ასევე სათასო მატჩის დღეს ფაბრეგაზე 148 დღით უფროსი იყო.

„ელანდ როუდზე“ კი „ლიდსმა“ თვით დიად „მანჩესტერ იუნაიტედს“ უმასპინძლა.

ძირითადი დრო 1:1 დასრულდა. მასპინძელთაგან ბრაზილიელმა როკე ჟუნიორმა გაიტანა, სტუმართაგან კი დევიდ ბელიონმა. დამატებით დროში უკვე „მანჩესტერი“ დაწინაურდა დიეგო ფორლანის გოლით, ლიდსელთაგან კი ისევ როკე ჟუნიორმა გაიტანა.

პენალტებამდე სამი წუთი რჩებოდა, როცა სტუმრებმა კუთხური ჩააწოდეს და კამერუნელი ერიკ ჯემბა-ჯემბას გოლმა სერ ალექსის გუნდი ლატარიას გადაარჩინა.

ამ თავისთავად ნერვიულ მატჩში გამოსარჩევი სხვა რამეც მოხდა. კერძოდ, უკვე დამატებით დროში ტრიბუნიდან მოედანზე ვილაცამ ბოთლი ისროლა. უღირსი საქციელია, მაგრამ მეტი უღირსობა მერე მოხდა. ლიდსელმა ალან სმიტმა, რომელიც წესიერი ზრდილობიანი [illegible] სდროს გამოირჩეოდა, ბოთლი უკან ტრიბუნაზე მოისროლა და მავან ქალს თავში გაარტყა.

ამ ინციდენტის თაობაზე ფეხბურთის ასოციაცია ცხადია იმსჯელებს, პოლიციამ კი განაცხადა, საქმის აღძვრას არ ვაპირებთო.

ირაკლი ნინიძე

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
კარდიფი 3:0 უოტფორდი
1:0 ერნშოუ (32), 2:0 ვიდმარი (77), 3:0 კავანაფი (87)

ვესტ ბრომვიჩი	15	10	1	4	23:13	31
უიგანი	16	8	6	2	21:13	30
ნორვიჩი	15	8	4	3	21:15	28
შეფილდი	15	8	3	4	24:16	27
სანდერლენდი	15	8	3	4	19:11	27
ვესტ ჰემი	15	7	6	2	18:10	27
იფსვიჩი	16	8	3	5	29:22	27
ნოტინგემი	15	7	3	5	28:18	24
რედინგი	15	7	3	5	23:18	24
მილუოლი	16	6	6	4	20:16	24
კარდიფი	15	6	5	4	26:15	23
ქრიუ	15	6	3	6	17:19	21
პრესტონი	15	6	2	7	20:19	20
უოლსოლი	15	5	4	6	17:16	19
ქოვენთრი	14	5	4	5	21:21	19
ბარნლი	15	5	4	6	23:28	19
სტოკი	15	4	4	7	17:20	16
კრ. პალასი	15	4	4	7	20:24	16
უოტფორდი	15	4	4	7	16:20	16
ჯილინგემი	15	4	4	7	14:23	16
დერბი	16	3	5	8	16:28	14
როტერჰემი	16	2	7	7	10:25	13
ბრედფორდი	15	3	3	9	14:25	12
უიმბლდონი	15	2	1	12	15:37	7



REUTERS ლიდსიდან

ალან სმიტმა ამ გოგოს გაარტყა





მარკ ბოსნიჩი ციხეშია, სოფი ანდერტონი საავადმყოფოში

გახსოვთ ბოსნიჩი?

ნარკომანმა მეკარემ სკოტლანდ იარდს თავი საყვარლის ცემით შეახსენა

საფეხბურთო სამყაროს ცუდი ბიჭი, ავსტრალიელი მეკარე მარკ ბოსნიჩი, რომელიც ავსტრალიელად ითქმება, თორემ რახანია ინგლისში საქმიანობს, სამშობლოს არც მეტი, არც ნაკლები დააპატიმრეს. მიზეზი: ბოსნიჩი ყოფილ გელფრენდს, სოფი ანდერტონს დასხმია თავს.

ამ წყვილის პრობლემათა შესახებ „სარბიელი“ ადრეც წერდა. თავად წყვილი კი იმითაა უნიკალური, რომ 31 წლის ვაჟი „ჩელსიმ“ კოკაინის ყნოსვისთვის დაიფრინა, 26 წლის ქალი კი კარგახანია ლოთობისა და ნარკომანობის საწინააღმდეგო მკურნალობებს იტარებს და ზაფხულზე ნერვული სტრესის გადატანა მოუხდა.

მშვენიერი სოფისა და მარკის მოხშირებულ ჩხუბთაგან ბოლო და ყველაზე უხეში კი ბოსნიჩის ბინაში გამართულა და ანდერტონის ფეხის მოტეხვით დასრულებულა.

რა უნდოდა უკვე ნაჩხუბარ და გაბუტულ ქალს ნაითსბრიჯის უბანში მდებარე ბინაში? როგორც ამბობენ, იგი თავისი ნივთების წასაღებად მისულა და იქ ამტყდარა რაც ამტყდარა. პოლიციას შვიდის ნახევარზე დაურეკესო. ბოსნიჩი კიდევ საათნახევრის მერე დაუჭერიათ, ხოლო სოფი სასწრაფო დახმარების მანქანით ჩელსის ახლომახლოში, ვესტმინსტერის საავადმყოფოში მიუყვანიათ.

„პოლიციას დაურეკეს და აცნობეს, რომ მამაკაცი ქალს უსწორდებოდა. მსხვერპლს სამედიცინო დახმარება ჩაუტარეს, მამაკაცი კი დაკავებულია“ — აი, ასეთი განცხადება გააკეთა სკოტლანდ იარდმა. სოფის ტრავმები არც სახიფათო ყოფილა და არც რაიმე იარაღით მიყენებული.

„სოფის მასთან რამდენიმე კვირაა არ ულაპარაკია — მოუთხრო ჟურნალისტებს მავანმა მეგობარმა — იგი მარკთან იმიტომ მივიდა, რომ ნივთები წამოეღო და მათ ურთიერთობაზეც ეთქვა ორიოდ სიტყვა“.

მოგვიანებით, ქალმა პოლიციას განუცხადა, რომ ფეხბურთელი ხშირად დაიარება მისი სახლის შორიახლოს ჰაერის პისტოლეტით ხელში. ამბობენ, რომ ბოსნიჩი მას არ ეშვებოდა, ხშირად უგზავნიდა მესიჯებს, ყვავილებს და ურეკავდა კიდეც.

ბოლოხანს სოფი ანდერტონის გვერდით მავანი სტივენ პარდიუ გამოჩნდა, თუმცა ქალიცა და კაციც ამტკიცებენ, რომ ისინი მხოლოდ მეგობრები არიან.

პაპუნა კეკია

შევა ასი?

რაც უფრო ახლოვდება დიდი დაპირისპირება, მით უფრო საინტერესო ცნობებს ავრცელებენ იტალიური სააგენტოები თუ გაზეთები.

აი, მაგალითად: „კორიერე დელო სპორტი“ „იუვენტუსის“ ჩეხ ვარსკვლავ პაველ ნედვედს დაეკითხა „მილანთან“ დაპირისპირებაზე. „ოქროს ბურთის“ მოპოვების ერთ-ერთმა ფავორიტმა თქვა: „სეზონის წინ მე და მარჩელო ლიპი დავნიძლავდით, „იუვენტუსი“ ყველა თამაშს მოიგებს თუ ვერა. საერთოდ, პროგნოზების კეთება არ მიყვარს და, ბუნებრივია, ახლაც ვერაფერს ვიტყვი. ფაქტია, „მილანი“ და „იუვენტუსი“ ორი ძალიან ძლიერი და ტიტულიანი კლუბია. შაბათს ორივეს ძალიან გაგვიჭირდება. მტკიცე ნერვების და ერთადერთი შეცდომის თამაში იქნება“.

მერე იტალიური მედია „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის მიადგა. ხოტორა გალიანიმ ჟურნალისტებს იმედი გაუცრუა: „ძალიან გთხოვთ, ნამეტანი ნუ გაიბუქებთ. ეს მხოლოდ ჩვეულებრივი მატჩია, სადაც სასწორზე მხოლოდ სამი ქულა იქნება შეგდებული“.

გუშინდელი „გაძეტა დელო სპორტის“ პირველი გვერდი კი საერთოდაც „მილანის“ უკრაინელ სუპერფორვარდ ანდრეი შევჩენკოს ეძღვნება. ვარდისფერმა გაზეთმა მსოფლიოს ამცნო — თუ შევა „იუვენტუსს“ ახლაც გაუტანს, ეს მისთვის საიუბილეო, მე-100 გოლი იქნება „მილანის“ მაისურითო.

მოკლედ, ჟურნალისტების პირველი რესპონდენტიც ახლა შევჩენკოა, „ოქროს ბურთის“ მოპოვების კიდევ ერთი მაძიებელი:

„რაც უფრო ძლიერია მეტოქე, მით უფრო გიჩნდება სურვილი, მის კარში გაიტანო. ვფიქრობ, „იუვენტუსზე“ და ჩემპიონთა ლიგის ფინალი მახსენდება. ცხადია, მინდა, ჯიჯის (ბუფონი) ახლაც გავუტანო, მაგრამ მხოლოდ ჩემზე როდია დამოკიდებული. თამაშს მარტო შევჩენკო არ იგებს, იგებს ერთსულოვანი „მილანი“.

იტალიელები იქვე შევჩენკოს იმ ზღაპრულ გოლს იხსენებენ, ანდრეიმ 2001 წლის დეკემბერში „სან სიროზე“ ცხრიანში რომ შეუჭედა ბუფონს: სიჩქარეაკრეფილმა საუცხოო დრიბლინგით დავიდსი, იულიანო და პესოტო რომ მიყარმოყარა, მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა, საჯარიმოში არშესულმა საკმაოდ მახვილი კუთხიდან მოულოდნელად ძლიერად პირდაპირ კარში დაარტყა და არა მარტო ბუფონი, მთლიანად „სან სირო“ გააოგნა.

წლეულს ალბათ მსოფლიოს საუკეთესო მეკარეს ის გოლი დღემდე ახსოვს. ჯანლუიჯი ბუფონი: „ცხადია, ბურთები გამიშვია, მაგრამ შევჩენკოს მიერ ჩემს კარში გატანილი საუკეთესოა, ის არანორმალური გოლი ახლაც თვალწინ მიდგას. იმედი მაქვს, ახლა იგივეს ვერ გაიმეორებს“.

შევჩენკო-ბუფონის დუელი რომ შაბათსაც გაგრძელდება, ცხადზე უცხადესია. ჩვენ კი მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ მილანელს ტურინელი აქამდე ხუთჯერ გაუმწარებია.

გიორგი ვაშაკიძე

ეს ის არის!

ბენფიჯას და ჯამაჩოს ერთმანეთი ჯიდევ უნდათ

ლისაბონური „ბენფიკას“ პრეზიდენტი ლუიშ ფელიპე ვიეირა კვლავაც ესპანელ ხოსე ანტონიო კამაჩოს ენდობა და მასთან საქმიანი ურთიერთობის გაგრძელებას ცდილობს. „ბენფიკას“ ჩემპიონობისთვის სწორედ ისეთი მწვრთნელი სჭირდება, როგორიც კამაჩოა“ — განაცხადა ვიეირამ ერთ-ერთ ინტერვიუში. ესპანეთის ნაკრების ყოფილ თავკაცს ლისაბონში დიდად აფასებენ, იქაური ინჩადა მისი საქმიანობით კმაყოფილია და გუნდის ხელმძღვანელობაც კამაჩოსთან ერთად ისურვა. „იგი ძლიერი ნებისყოფის ადამიანი და ამავდროულად თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე პროფესიონალია. „ბენფიკა“ მასთან კავშირს არ გაწყვეტს, ამ ეტაპზე კამაჩოზე უკეთეს კანდიდატურას ვერ ვხედავ“ — თქვა ლისაბონელთა მთავარმა ჩინოვნიკმა, რომელიც მოკლე ხანში მშობლიური კლუბის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაებმება. მისი მთავარი საარჩევნო დაპირებაც ესპანელი მწვრთნელის შენარჩუნება გახლავთ.

თავად კამაჩო მეზობელ პორტუგალიაში მოღვაწეობას ცუდი თვალით არ უყურებს. „ბენფიკა“ შესანიშნავი გუნდია და მოხარული ვიქნები, თუ კარიერას ისევ ლისაბონში გავაგრძელებ“ — გაუმხილა სენიორ ხოსე ანტონიომ მისი სამომავლო გეგმებით დაინტერესებულ „ლიბრედირეკტოს“ ჟურნალისტს.

ლადო ხომერიკი

ბებერი ქალბატონი პატარა ბიჭებს დაერია

იცით, ვინ არის ლუის გარსია ხიმენესი? ალბათ არა. სულ მალე შესაძლოა მან ტურინის „იუვენტუსის“ ან მადრიდის „რეალის“ მაისურა მოირგოს.

ხიმენესი 19 წლის პერსპექტიული ჩილელი თავდამსხმელია, რომელიც ამჟამად სერია B-ს მეორადგილოსან „ტერნანაში“ თამაშობს და გოლი გოლზე გააქვს. გარდა ზემოთ ხსენებული გრანდებისა, მისით თურმე „მანჩესტერ იუნაიტედი“, ლონდონის „ჩელსი“ და რომის „ლაციოც“ დაინტერესებულან. ხიმენესთან ერთად „ტერნანას“ ლიდერად ფრანგი ჰოუსინ კარიაც შერაცხეს, რომლისთვისაც ასევე „ბებერ ქალბატონს“ დაუდგამს თვალი.

ამბობენ, რომ ამ უქმეებზე „რეალისა“ და „იუვენტუსის“ დამკვირვებლები „ტერნანა“ — „აველინოს“ მატჩს დაესწრნენ. მართალია, მასპინძლებმა სერია B-ს აუტსაიდერთან ქულები დაკარგეს, მაგრამ ხიმენესს თავი არ შეურცხვენია. მან ორი ბურთი გაიტანა.

„ტერნანა“ ბერგამოს „ატლანტას“ 2 ქულით ჩამორჩება. პირველი ადგილის მოპოვება რომც ვერ მოახერხოს, სერია A-ში აღზევების ჩინებული შანსი აქვს, რადგან მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგას სერია B-დან ხუთი გუნდი შეუერთდება.

მიუხედავად ამ აჟიოტაჟისა, „ტერნანას“ პრეზიდენტმა ლუიჯი აჯარინიმ განაცხადა, ორივე ფეხბურთელი გვჭირდება და მათ არ ვყიდითო.

„ისინი ჩვენი კლუბის მომავალს წარმოადგენენ. მათ აღზრდას ბლომად ფული დავახარჯეთ და ასე უბრალოდ არ შეველევით. სეზონის დაწყებამდე ზოგი ამბობდა, რომ ისინი სერია B-ში სათამაშოდ მზად არ იყვნენ, მაგრამ ახლა ყველა დარწმუნდა მათ შესაძლებლობებში“ — აღნიშნა აჯარინიმ.

ცნობილია, რომ „იუვენტუსი“ ყველასთვის უცნობი ნიჭიერი ფეხბურთელების აღმოჩენითა და შემდეგ მათი ვარსკვლავებად ქცევის უნარით გამოირჩევა. იტალიური პრესის ცნობით, „იუვე“ მზად არის, იანვარში ორივე ფეხბურთელი შეიძინოს. აქვე შეგახსენებთ, რომ „ბებერი ქალბატონის“ ბოლო აღმოჩენა, ფაბრიციო მიკოლი, სწორედ „ტერნანას“ ფეხბურთელი გახლდათ.

მიუხედავად ამისა, „ტერნანას“ პრეზიდენტი ლუიჯი აჯარინი ჯიუტად უარყოფს ხიმენესისა და კარიას შესაძლო ტრანსფერებს და მომავალ გეგმებზე საუბრობს. თუმც, როდესაც საქმეში ასეთი გრანდები არიან ჩარეულნი, ძნელია ივარაუდო, რომ პროვინციული კლუბი თავის აღზრდილ-ტალანტებს შეინარჩუნებს.

ლუიჯი აჯარინი: „ხიმენესი და კარია ხელშეუხებელნი არიან. ძალიან არ მსიამოვნებს ისტორიები იმის შესახებ, რომ თითქოს ჩვენ რომელიღაც დიდი გუნდისთვის ვზრდით ფეხბურთელებს. „ტერნანას“ გეგმებში ლიდერების გაყიდვა არ შედის. ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ და გადახვევას არ ვაპირებთ“.

გიორგი ძაძაგაძე

პორსი დი ნატალეს ოთხს ვერ აჩუქებს

სერია A-ს ცხრილს თუ ჩახედავთ, ნახავთ, რომ ბოლო საფეხურზე უკვე მწვრთნელგამოცვლილი „ემპოლია“. „სტადიო კასტელინის“ ბინადრებმა უსუსურად დაიწყეს სეზონი და ერთპიროვნულ აუტსაიდერებად იქცნენ.

„ემპოლი“ საკმაოდ ბრძოლაუნარიანი გუნდია და სერია A-ში ადგილის შენარჩუნება არ უნდა უჭირდეს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ იტალიის ჩემპიონატი სულ ახლახან დაიწყო და, სპეციალისტების აზრით, ფლორენციული კლუბი კიდევ მოასწრებს კლანჭების გამოჩენას.

„ემპოლის“ ერთერთი გამორჩეული მოთამაშე ანტონიო დი ნატალეა. „ნაპოლის“ ყოფილი ფეხბურთელი ყოველ მატჩში ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მოუტანოს თავის კლუბს, მაგრამ ჯერჯერობით ბევრი არაფერი გამოსდის, რადგანაც თანაგუნდელები მხარს ვერ უბამენ.

მიუხედავად ამისა, „ემპოლის“ პრეზიდენტი ფაბრიციო კორსი ბოლო ხანს საჯაროდ აკრიტიკებდა თავისი გუნდის ლიდერს, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

იტალიური პრესა იუწყება, რომ კორსიმ უკვე მიაღწია სიტყვიერ შეთანხმებას თანაქალაქელ „ფიორენტინასთან“ (რომელთანაც გასაგები მიზეზების გამო „ემპოლის“ არცთუ კარგი დამოკიდებულება აქვს) და დი ნატალე მომავალი სეზონიდან „იებში“ ითამაშებს.

ფაბრიციო კორსი უარყოფს: „მართალია, მე ვაკრიტიკებდი დი ნატალეს, მაგრამ ჩვენ იგი გვჭირდება. თუ კლუბს სერია A-ში დარჩენა უნდა, მისი გაყიდვა დაუშვებელია. „ემპოლის“ ნორმალური ფინანსური მდგომარეობა აქვს და არავის გაშვებას არ ვაპირებთ. დი ნატალეს კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს ჩვენთან და მის შესაძლო ტრანსფერზე მხოლოდ იანვარში ან სეზონის ბოლოს შეიძლება დავფიქრდეთ“.

აქვე შეგახსენებთ, რომ დი ნატალეს მსურველები გასულ ზაფხულსაც მრავლად იყვნენ. მათ შორის ყველაზე მეტად „მილანი“ და „პარმა“ აქტიურობდნენ, მაგრამ მხარეები ფინანსურ საკითხში ვერ შეთანხმდნენ და დი ნატალემაც „ემპოლიში“ დარჩენა გადაწყვიტა, რადგანაც ფლორენციელებმა სხვებზე უკეთესი პირობები შესთავაზეს.

გიორგი ძაძაგაძე



...და ან ცაზე ვარსკვლავები

კრემონელი დიდგვაროვანი

ჯანლუკა ვიალი

ვიალი რუსებს დედის გინებით ესალმება

„პრივეტ, იობ ვაშუ მან!“ — შესძახა მან და მხიარულად გააქნია ხელი. ეს დიდი ხნის წინ, 1991 წელს მოხდა. მოსკოვის აეროპორტი „სკუადრა აძურას“ ჟურნალისტებით და გულშემატკივრებით ხვდებოდა. მეორე თუ მესამე დღეს იტალიელებს მოგება სჭირდებოდათ, მაგრამ 0:0 ითამაშეს და ევრო 92-ზე ვერ მოხვდნენ... თუმცა ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს. მას კი ჟურნალისტები შემოეხვივნენ. „სად ისწავლეთ ასე კარგად რუსული? — „სამპდორიაში“, მიხაილიჩენკომ მასწავლა“. მერე გაირკვა, რომ მისი რუსული ზემოთ ნათქვამს ვერ სცილდებოდა

„სამპდორიაში“ ჯანლუკა ვიალი 20 წლისა მოხვდა. იგი გენუელებმა „კრემონეზესგან“ 3 მილიონ დოლარად იყიდეს. ვიალი კრემონელია და იქაურ გუნდშიც ამიტომ თამაშობდა. ბარემ აქვე დავძინოთ, რომ იგი მდიდართა ცნობილი მოდგმის ჩამომავალია, მაგრამ ფეხბურთს გაჰყვა, როგორც გითხარით, „სამპდორიაში“ მიბრძანდა და კლუბის ისტორიის უდიადეს პიროვნებად, ლეგენდად იქცა. მის ხელში (ვუიადინ ბოშკოვის ხელმძღვანელობით) „სამპდორია“ 1991 წელს იტალიის ჩემპიონი გახდა, 1990 წელს კი ფინალში „ანდერლეხტის“ 2:0 ძლევით თასების თასი მოიპოვა.

სხვათა შორის, ვიალისთან ერთად მაშინდელ „სამპდორიაში“ ბრწყინავდა „ლაციოს“ დღევანდელი მწვრთნელი რობერტო მანჩინიც. მათ ტყუპებს ეძახდნენ. რატომ ტყუპებს? იმიტომ, რომ თამაშის ყაიდით ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებოდნენ... მაგრამ ძმური ერთსულოვნებით მეტოქეთა კარს ლაშქრავდნენ. მერედა, ვიალი და მანჩინი სულ ერთად იყვნენ და სტადიონის გვერდით, რესტორან „მარასიშიც“ ხშირად ერთად საღილობდნენ. ხოლო ღამ-ღამობით, ქალებში თურმე ატილიო ლომბარდოს კამპანიაში დაძვრებოდნენ, გახსოვთ მელოტი ატილიო ლომბარდო? კაცი, რომელმაც მსოფლიოში თავზე მაისურის წამოცმა დანერგა?

და თქვენ გგონიათ ჯანლუკა ვიალის არაფერი დაუნერგავს? აბა, გაიხსენეთ პირველი გადახოტრილი ფეხბურთელი ვინ იყო? ეს დღესაა ყოველი მეორე გადაპარსული რომ დაჰქრის, თორემ მაშინ ვიალის ჟურნალისტები დასდევდნენ კუდში, ეს როგორ მოიფიქრე, თმა ხომ არ გცვივაო. სხვათა შორის, ვიალის ამ კითხვაზე ერთხელაც არ გაუცია პასუხი.

1992 წელს კი „სამპდორიამ“ „იუვენტუსისგან“ 20 მილიონი ჩაითვალა — ჯანლუკა ვიალი მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელი და „ბებერი ქალბატონის“ თავდამსხმელი გახდა.

„იუვენტუსში“ ვიალის კარიერა დინჯად განვითარდა. პირველ სეზონში ცუდად ითამაშა, მეორეში ჯერ დაშავდა, მერე იმკურნალა, აი, მესამეში კი „შავ-თეთრებს“ სათავეში მარჩელო ლიპი ჩაუდგათ და დაიწყო! ჯანლუკა 90-იანი წლების „იუვეს“ გამორჩეულ ფიგურად და კაპიტნად ჩამოყალიბდა, ხოლო გუნდმა 1995 წელს იტალიური დუბლი, 1996-ში კი ჩემპიონთა თასი მოიგო.

ჩემპიონთა ლიგის იმ გათამაშების ფინალში ტურინელები ამსტერდამის „აიაქსს“ შეხვდნენ და პენალტებით მოუგეს. ვიალიმ იცოდა, რომ ეს მისი ბოლო მატჩი იყო „ბებერი ქალბატონის“ შემადგენლობაში. ამიტომ ძალიან უნდოდა გოლის გატანა, მაგრამ ვერ შეძლო, არადა, ბევრჯერ სცადა.

შემდეგ იყო „ჩელსი“, სადაც ჩვენი წერილის გმირს „იუვეზე“ მეტს უხდიდნენ — სამ სეზონში სამი მილიონი გირვანქა. ლონდონში ვიალი ცნობილმა რუუდ გულიტმა მიიხმო, რომელიც იმხანად „ჩელსის“ მოთამაშე-მწვრთნელობას სწევდა. გულიტი ვიალის აქებდა და ამბობდა, ამ კაცით ინგლისურ „მილანს“ ავაშენებო (არიგო საკისეულ „მილანზეა“ მინიშნება), მაგრამ... დაიწყო სეზონი და სად არის შენი ვიალი? გულიტი მას ძალიან იშვიათად ათამაშებდა, ხოლო აპრილში განაცხადა — კინწისკვრით გავაგდებ აქედანო. პასუხად ვიალიმ გულიტს უნიჭო მწვრთნელი უწოდა, რის შემდეგაც კლუბის პრეზიდენტმა, კენ ბეიტსმა ჰოლანდიელი გააგდო და მის ადგილზე (მილიონიანი ხელფასის შენარჩუნებით) იტალიელი დანიშნა — ასეც ხდება!

რა ჯილდოები მოიგო „ჩელსიმ“ ჯანლუკა ვიალის ხელმძღვანელობით? ინგლისის ლიგის თასი, ევროპის თასების მფლობელთა თასი, სუპერთასი და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი. ამას თუ ნებას მოგვცემთ, ინგლისის პრემიერლიგაში მესამე ადგილს და შემდგომ წელიწადს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლას დავამატებდით.

მაშ, რატომ მოხსნეს „ჩელსის“ მწვრთნელობიდან ჯანლუკა ვიალი? ალბათ, იმიტომ, რომ 1999 წელს „საუთჰემპტონთან“ მოედანზე ოერთმეტი უცხოელი გაიყვანა და საერთოდაც, მის ხელში „ჩელსიში“ ძალიან ცოტა ინგლისელი თამაშობდა. კიდევ ალბათ იმიტომ, რომ ვიალის ფეხბურთელების ნაწილთან გაუფუჭდა ურთიერთობა. ერთადერთი, ვისაც პირობა დაუდო ყველა შეხვედრაში გათამაშებო და ამით სხვებზე წინ დააყენა, ჯანფრანკო ძოლა გახლდათ.

და აი, 2000 წლის 12 სექტემბერს, სადამოს ვარჯიშის შემდეგ ვიალი ფეხბურთელებს „სენტ გალენთან“ თამაშის წინ ახალი ტაქტიკური იდეის გაცნობას უპირებს, რაზეც ისინი პასუხობენ, რომ დაიღალნენ და მუშაობა აღარ უნდათ. მწვრთნელი თანხმდება, ხვალ იყოსო, მეორე დღესაც კი ის „ჩელსის“ თავკაცის თანამდებობიდან მოხსნეს.

ჯანლუკა ვიალის სანაკრებო კარიერა საკლუბოსავით კაშკაშა არ გახლდათ. 1992 წლის დეკემბრიდან ცისფერი მაისურა ერთხელაც აღარ ჩაუცვამს. რისი ბრალი იყო ეს? ძნელი სათქმელია, ალბათ, „არ ეწერა“ და მთელი მიზეზიც ესაა.

ხოლო პირად ცხოვრებაზე ჯანლუკა არასდროს ლაპარაკობს. ჯერ კიდევ 1991 წელს (ქალებში მანჩინისთან და ლომბარდოსთან ერთად რომ დაძვრებოდა) მოხდა ასეთი ამბავი: ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა სტატია, სადაც ჟურნალისტი ვიალის სექსუალურ ცხოვრებას ახსენებდა და... რაღაც ისეთებისკენ

ტყუპები: რობერტო მანჩინი და ჯანლუკა ვიალი

გაექცა კალამი, რომ ფეხბურთელმა სასამართლოში მორალური კომპენსაციისთვის 20 ათასი დოლარი მოუგო. კეთილი, მაგრამ გადიოდა წლები, ვიალის კი ცოლი არ მოჰყავდა... თითქოს მერე რა, ხომ? რა და ის, რომ როდესაც 2001 წელს ინგლისური „უოტფორდის“ მწვრთნელობას დათანხმდა, ჭორიკანებს მოაგონდათ, „უოტფორდის“ პატრონი ცნობილი მუსიკოსი ელტონ ჯონიაო. ელტონ ჯონის მამათმავლობა კი საქვეყნოდ აღიარებული ამბავია.

და ამით რისი თქმა გნებავთ?

„არაფრის თქმაც არ გვინდა, უბრალოდ რამდენჯერმე გაიმეორეთ: ვიალი პედერასტი არ არის! ვიალი პედერასტი არ არის! ვიალი პედერასტი არ არის!“ — წერდნენ მაშინ სხვა გაზეთი, რომელსაც ჩვენს ხმას ვუერთებთ.

პაპუნა კედია

ეს ლამაზმანი ვიალის, ეტყობა, ატილიო ლომბარდომ გააცნო



ვიალი „ჩელსიდან“ კენ ბეიტსმა დაითხოვა

სარგებელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

ინგლისი
პრემიერლიგა. XI ტური

1 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2X-2
19.00	001	ევერტონი-ჩელსი	4,4	3,3	1.75	1,88	1,25 1,14
19.00	002	ლიდსი-არსენალი	4,8	3,5	1.65	2,02	1,22 1,12
19.00	003	მანჩესტერი-პორტსმუთი	1.25	5,0	10,0	1	1,11 3,33
	004	მანჩესტერი-პორტსმუთი 0:1	1.65	3,3	3,3		
19.00	005	მიდლსბრო-უოლვერჰემპტონი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25 1,88
19.00	006	ნიუკასლი-ასტონ ვილა	1,55	3,5	6,0	1,07	1,23 2,21
19.00	007	საუთემპტონი-სიტი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28 1,57
19.00	008	ტოტენჰემი-ბოლტონი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22 2,1

2 ნოემბერი

18.00	009	ფულემი-ლივერპული	2,7	3,2	2,4	1,46	1,27 1,37
20.05	010	ლესტერი-ბლეკბერნი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26 1,38

3 ნოემბერი

24.00	011	ბირმინგემი-ჩარლტონი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25 1,69

ინგლისი
I დივიზიონი. XVII ტური

1 ნოემბერი

16.30	015	უიგანი-კრისტალ პალასი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22 2,1
17.00	016	ბარნლი-კარდიფი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27 1,49
19.00	017	ქოვენტრი-ვესტ ჰემი	2,8	3,2	2,35	1,49	1,27 1,35
19.00	018	ქრიუ-რედინგი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27 1,49
19.00	019	იფსვიჩი-ჯილინგემი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21 2,31
19.00	020	მილუოლი-ნოტინგემი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28 1,54
19.00	021	პრესტონი-დერბი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25 1,88
19.00	022	სტოკი-შეფილდი	3,0	3,2	2.25	1,54	1,28 1,32
19.00	023	უოლსოლი-ნორვიჩი	2,4	3,2	2.7	1,37	1,27 1,46
19.00	024	უოტფორდი-როტერჰემი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24 1,8
19.00	025	ვესტ ბრომიჩი-სანდერლენდი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24 1,72
21.35	026	უიმბლდონი-ბრენტფორდი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27 1,46

ინგლისი
II დივიზიონი. XVII ტური

31 ოქტომბერი

23.45	031	რექსჰემი-კოლჩესტერი	1,9	3,3	3.5	1,2	1,23 1,69

1 ნოემბერი

19.00	032	ბრენტფორდი-ბარნსლი	2,3	3,3	2,7	1,35	1,24 1,48
19.00	033	ბრისტოლი-ლუტონი	1.7	3,4	4,4	1,13	1,22 1,91
19.00	034	ჩესტერფილდი-პორტ ვეილი	2,8	3,2	2,3	1,49	1,26 1,33
19.00	035	ნოტსი-ქარლაპული	2,5	3,2	2,45	1,4	1,23 1,38
19.00	036	პიტერბრო-ბრაიტონი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25 1,35
19.00	037	პლიმუთი-ილდემი	1,6	3,5	5,0	1,09	1,21 2,05
19.00	038	რაჩდეხი-ვრიმსბი	2,2	3,2	3,0	1,3	1,26 1,54
19.00	039	უესლი-ბლეკპული	1,7	3,3	4,6	1,12	1,24 1,92
19.00	040	სტოკპორტი-ქუინს პარკი	2,8	3,2	2,3	1,49	1,26 1,33
19.00	041	სუინდონი-უიკომბი	1.7	3,4	4,4	1,13	1,22 1,91
19.00	042	ტრანმერი-ბორნმუთი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25 1,46

ინგლისი
III დივიზიონი. XVII ტური

1 ნოემბერი

19.00	046	ბერი-იოვილი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24 1,37
19.00	047	ჩელტენემი-იორკი	2,2	3,2	3,0	1,3	1,26 1,54
19.00	048	დონკასტერი-ტორკი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24 1,92
19.00	049	ჰალი-მაკლსფილდი	1,35	4,0	8,0	1	1,15 2,66
	050	ჰალი-მაკლსფილდი 0:1	1,95	3,2	2,6		
19.00	051	კიდერმინსტერი-კემბრიჯი	2,45	3,2	2,5	1,38	1,23 1,4
19.00	052	ლეტონი-როჩდეილი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26 1,52
19.00	053	ლინკოლნი-კარლაილი	1,4	4,0	7,0	1,03	1,16 2,54
	054	ლინკოლნი-კარლაილი 0:1	2,0	3,2	3,5		
19.00	055	მენსფილდი-ბოსტონი	1,55	3,5	5,6	1,07	1,21 2,15
19.00	056	ოქსფორდი-დარლინგტონი	1,4	4,0	7,0	1,03	1,16 2,54
	057	ოქსფორდი-დარლინგტონი 0:1	2,0	3,2	3,5		
19.00	058	სკანთორპი-პაღერსფილდი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26 1,52
19.00	059	საუთენდი-ნორთჰემპტონი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26 1,52
19.00	060	სუონსი-როვერსი	1,7	3,4	4,4	1,13	1,22 1,91

ინგლისი
კონფერენსი. XVI ტური

1 ნოემბერი

19.00	061	ალდერშოტი-ფორეესტ გრინი	1,6	3,5	4,8	1,09	1,2 2,02
19.00	062	ბარნეტი-ნორთვიჩი	1,45	3,6	6,5	1,03	1,18 2,31
	063	ბარნეტი-ნორთვიჩი 0:1	2,2	3,2	2,3		
19.00	064	ბარტონი-ფარნბორო	1,55	3,6	5,0	1,08	1,18 2,09
19.00	065	ექსეტერი-ტემფორდი	1,6	3,5	4,8	1,09	1,2 2,02
19.00	066	გრეიტჰენდი-ჯერინგტონი	2,4	3,2	2,5	1,37	1,22 1,4
19.00	067	ჰალიფაქსი-დაგ ენდ რედი	1,9	3,3	3,4	1,2	1,21 1,67
19.00	068	პერეფორდი-ლეი	1,35	4,0	7,5	1	1,14 2,6
	069	პერეფორდი-ლეი 0:1	1,95	3,2	2,6		
19.00	070	მორიკომბი-მარგეიტი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21 1,87
19.00	071	სკარბორო-ჩესტერი	2,8	3,2	2,25	1,49	1,24 1,32
19.00	072	სტივენეიჯი-შრიუსბერი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22 1,37
19.00	073	ტელფორდი-უოკინგი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25 1,57

შოტლანდია
პრემიერლიგა. XI ტური

1 ნოემბერი

16.30	075	კილმარნოკი-სელტიკი	10,0	5,0	1,25	3,33	1,11 1
19.00	076	აბერდინი-მოსერუელი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28 1,52
19.00	077	დანდი-პიბერნიანი	2,1	3,3	3,2	1,28	1,26 1,62
19.00	078	დანფერმლინი-ჰარტ ოუნიტედი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25 1,67
19.00	079	პარტიკი-ლეიტონ ორიენტი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24 1,95
19.00	080	რეინჯერსი-პარტიკი	1,1	7,5	17,0	1	1,03 5,2
	081	რეინჯერსი-პარტიკი 0:1	1,25	4,6	5,0		

შოტლანდია
I დივიზიონი. XI ტური

1 ნოემბერი

19.00	083	ეარი-კლაიდი	2,6	3,4	2,3	1,47	1,22 1,37
19.00	084	ბრეჩინი-როსი	3,6	3,6	1,75	1,8	1,17 1,17
19.00	085	ინვერნესი-ფოლკირკი	2,05	3,4	3,1	1,27	1,23 1,62
19.00	086	ქუინი-სტენჯონსტონი	2,45	3,4	2,4	1,42	1,21 1,4
19.00	087	სტ.მირენი-რეიზი	2,3	3,4	2,6	1,37	1,22 1,47

შოტლანდია
II დივიზიონი. XI ტური

1 ნოემბერი

19.00	090	ერდრი-მორტონი	2,35	3,4	2,45	1,38	1,19 1,42
19.00	091	ბერიკი-არბროთი	1,85	3,5	3,3	1,21	1,18 1,69
19.00	092	დამბარტონი-ალოა	2,4	3,4	2,4	1,4	1,2 1,4
19.00	093	ფორფარი-ჰამილტონი	2,2	3,4	2,7	1,33	1,21 1,5
19.00	094	სტენჰაუსმური-ისტ ფაიფი	2,5	3,4	2,3	1,44	1,19 1,37

შოტლანდია
III დივიზიონი. XI ტური

1 ნოემბერი

19.00	097	კოუდენბითი-სტირლინგი	3,5	3,6	1,75	1,77	1,16 1,17
19.00	098	ისტ სტირლინგი-ელგინი	3,0	3,6	1,95	1,63	1,18 1,26
19.00	099	პიტერჰედი-მონტროსი	1,55	3,6	5,0	1,08	1,18 2,09
19.00	100	ქუინს პარკი-ვრეტნა	2,45	3,5	2,3	1,44	1,18 1,38
19.00	101	სტრანრაარი-ალბიონი	1,95	3,6	3,0	1,26	1,18 1,63

გერმანია
ბუნდესლიგა. XI ტური

1 ნოემბერი

18.30	104	მიონხენგლადბახი-ჰანზა	1,9	3,2	3,8	1,19	1,26 1,73
18.30	105	შტუტგარტი-ფრაიბურგი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2 2,46
	106	შტუტგარტი-ფრაიბურგი 0:1	2,1	3,1	2,45		
18.30	107	ვერდერი-აინტრახტი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2 2,46
	108	ვერდერი-აინტრახტი 0:1	2,05	3,2	2,45		
18.30	109	კიოლნი-ჰანოვერი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27 1,49
18.30	110	მიუნხენი-ბოხუმი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28 1,62
18.30	111	ვოლფსბურგი-ჰერტა	1,85	3,2	4,0	1,17	1,26 1,77
18.30	112	შალკე-ბაიერნი	3,5	3,2	2,0	1,67	1,27 1,23

2 ნოემბერი

20.30	113	კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25 1,4
20.30	114	დორტმუნდი-ჰამბურგი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2 2,46
	115	დორტმუნდი-ჰამბურგი 0:1	2,05	3,2	2,45		

გერმანია
II ბუნდესლიგა. XI ტური

31 ოქტომბერი

22.00	116	არმინია-კოტბუსი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23 1,84
22.00	117	აუგ-მაინცი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25 1,35
22.00	118	ლიუბეკი-ალენი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22 1,76

2 ნოემბერი

18.00	119	დუისბურგი-კარლსრუე	1,75	3,3	4,2	1,14	1,23 1,84
18.00	120	ტრირი-ნიურნბერგი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25 1,46
18.00	121	რეგენსბურგი-ოსნაბრიუკი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25 1,64
18.00	122	უნტერჰახინგი-ობერჰაუზენი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25 1,67
18.00	123	ფიურტი-ბურგჰაუზენი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23 1,84

3 ნოემბერი

23.15	124	უნიონი-ალემანია	2,5	3,3	2,4	1,42	1,22 1,38

გერმანია
რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XIV ტური

31 ოქტომბერი.

22.30	128	კიოლნი(მ)-ლინამო	2,25	3,1	2,9	1,3	1,26 1,49

1 ნოემბერი

17.00	129	ქემნიცი-მიუნსტერი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21 1,87
17.00	130	ნოიმიუნსტერი-ვატენშაიდი	3,0	3,4	1,85	1,59	1,14 1,19

2 ნოემბერი

17.00	131	ვერდერი(მ)-სტ.პაული	2,0	3,4	3,1	1,25	1,21 1,62
17.00	132	ლაიპციგი-ვუპერტალი	2,7	3,4	2,2	1,5	1,21 1,33
17.00	133	შალკე(მ)-კილი	1,9	3,4	3,3	1,21	1,2 1,67
17.00	134	ურდინგენი-ბრაუნშვაიგი	2,4	3,2	2,5	1,37	1,22 1,4
17.00	135	პადერბორნი-ესენი	2,15	3,3	2,9	1,3	1,23 1,54

3 ნოემბერი

20.30	136	დორტმუნდი(მ)-ჰამბურგი(მ)	1,55	3,6	4,6	1,08	1,15 2,01

გერმანია
რეგიონალლიგა (სამხრეთი). XIV ტური

31 ოქტომბერი

22.30	140	ერფურტი-ფოიხტი	1,55	3,6	5,0	1,08	1,18 2,09
22.30	141	აალენი-შტუტგარტი(მ)	2,35	3,3	2,5	1,37	1,21 1,42

1 ნოემბერი

15.30	142	კეერსი-აუგსბურგი	2,1	3,4	2,9	1,29	1,21 1,56
17.30	143	საარბრიუკენი-მაინცი(მ)	1,45	3,8	5,6	1,04	1,15 2,26
17.30	144	ოფენბახი-ეინბორნი	1,85	3,3	3,5	1,18	1,21 1,69
17.30	145	კაისერსლაუტერნი(მ)-ფლეერსბერგი	2,4	3,4	2,4	1,4	1,2 1,4
17.30	146	შვაინფურტი-ვეენი	2,6	3,3	2,3	1,45	1,22 1,35

2 ნოემბერი

17.30	147	ბაიერნი(მ)-ფუულენდორფი	1,55	3,6	5,0	1,08	1,18 2,09
18.00	148	ზიგენი-პოფენჰაიმი	2,35	3,3	2,5	1,37	1,21 1,42

იტალია
სერია A. VIII ტური

1 ნოემბერი

21.00	152	უდინეზე-ლაციო	2,7	2,9	2,6	1,39	1,32 1,37
23.30	153	მილანი-იუვენტუსი	2,3	2,9	3,2	1,28	1,33 1,52

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		2 ნოემბერი						
18.00	154	ანკონა-სიენა	2,5	3,0	2,7	1,36	1,29	1,42
18.00	155	ბოლონია-სამპდორია	2,05	2,9	3,8	1,2	1,33	1,64
18.00	156	ბრეშა-პარმა	2,7	3,0	2,5	1,42	1,29	1,36
18.00	157	ლეჩე-ემპოლი	1,7	3,1	5,3	1,09	1,28	1,95
18.00	158	მოდენა-პერუჯა	1,9	2,8	3,6	1,13	1,24	1,57
18.00	159	რომა-რეჯინა	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
	160	რომა-რეჯინა 0:1	1,6	3,2	3,6			
23.30	161	კიეკო-ინტერი	3,3	3,0	2,2	1,57	1,32	1,26
		იტალია						
		სერია B. XII ტური						
		2 ნოემბერი						
18.00	164	ალბინოლეფე-ვიჩენცა	2,25	2,6	3,5	1,2	1,36	1,49
18.00	166	აველინო-ტრევიზო	2,45	2,7	3,0	1,28	1,34	1,42
18.00	167	კალიარი-ნაპოლი	1,7	2,8	6,0	1,05	1,32	1,9
18.00	168	ფიორენტინა-კომო	1,7	2,8	6,0	1,05	1,32	1,9
18.00	169	ჯენოა-კატანია	1,9	2,6	4,0	1,09	1,28	1,57
18.00	170	ლიეორნო-ტერნანა	2,25	2,6	3,5	1,2	1,36	1,49
18.00	171	მესინა-პესკარა	1,75	2,7	5,6	1,06	1,33	1,82
18.00	172	პალერმო-ატალანტა	2,25	2,6	3,5	1,2	1,36	1,49
18.00	173	პიაჩენცა-ტრიესტინა	1,7	2,9	5,6	1,07	1,3	1,91
18.00	174	სალერნიტანა-ვერონა	2,2	2,7	3,5	1,21	1,35	1,52
18.00	175	ტორინო-ასკოლი	1,5	3,4	7,0	1,04	1,23	2,28
18.00	176	ვენეკია-ბარი	2,15	2,7	3,6	1,19	1,34	1,54
		ესპანეთი						
		I დივიზიონი.						
		IX ტური						
		30 ოქტომბერი						
00.30	215	ატლეტიკო-სოსიედადი	2,4	3,1	2,8	1,35	1,29	1,47
		საფრანგეთი						
		I დივიზიონი. XII ტური						
		1 ნოემბერი						
20.15	243	ლიონი-ნიცა	1,65	3,2	5,6	1,08	1,27	2,03
23.00	244	მეცი-სოშო	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
23.00	245	მონაკო-ლე მანი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	246	მონაკო-ლე მანი 0:1	1,65	3,3	3,3			
23.00	247	მონპელიე-ნანტი	2,5	3,0	2,7	1,36	1,29	1,42
23.00	248	ბასტია-აიაჩო	1,8	3,1	4,4	1,13	1,27	1,81
23.00	249	ბორდო-მარსელი	2,45	3,0	2,8	1,34	1,3	1,44
23.00	250	ლილი-გენგამი	1,7	3,2	5,0	1,11	1,26	1,95
23.00	251	რენი-სტრასბური	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
23.00	252	ტულუზი-ოსერი	2,5	3,1	2,6	1,38	1,27	1,41
		2 ნოემბერი						
23.45	253	პსჟ-ლანსი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12
		ჰოლანდია						
		I დივიზიონი.						
		X ტური						
		31 ოქტომბერი						
23.00	294	როდა-დენ ჰააგი	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
		1 ნოემბერი						
22.30	295	როზენდალი-ნაიმეგენი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
22.30	296	ბრედა-პსვ	4,8	3,5	1,65	2,02	1,22	1,12
23.00	297	ვიტესი-ვოლენდამი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
23.15	298	აიაქსი-ალკმაარი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	299	აიაქსი-ალკმაარი 0:1	1,95	3,2	2,6			
		2 ნოემბერი						
17.30	300	გრონინგენი-ფეიენოორდი	4,2	3,4	1,75	1,87	1,23	1,15
17.30	301	ტილბურგი-ვალვაიკი	2,05	3,3	3,3	1,26	1,26	1,65
17.30	302	უტრეხტი-პერენვენი	2,4	3,3	2,6	1,38	1,24	1,45
17.30	303	ხეოლე-ტვენტე	3,4	3,4	1,95	1,7	1,23	1,23

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ბელგია						
		I დივიზიონი						
		XI ტური						
		31 ოქტომბერი						
23.30	318	მუსკრონი-ანდერლეხტი	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18
23.30	319	ლიერსი-გენტი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
		1 ნოემბერი						
23.00	320	ბეერსხოტი-ვესტერლო	1,85	3,4	3,6	1,19	1,22	1,74
23.00	321	ლოკერენი-ბრიუგე	5,0	3,6	1,6	2,09	1,21	1,1
23.00	322	გენკი-ანტვერპენი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	323	გენკი-ანტვერპენი 0:1	1,75	3,2	3,0			
23.00	324	სტანდარდი-ბეევერენი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	325	სტანდარდი-ბეევერენი 0:1	1,9	3,2	2,7			
23.00	326	მონსი-სტ.ტრუიდენი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		2 ნოემბერი						
18.00	327	სერკლი-ლუკეე	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
18.00	328	შარლერუა-პეუსდენი	1,85	3,4	3,6	1,19	1,22	1,74
		შვედეთი. ფლეი-ოფი						
		30 ოქტომბერი						
22.00	425	პეკინი-სუნდსვალი	2,3	3,3	2,6			
		ნორვეგია						
		ტიპელიგა						
		XXVI ტური						
		1 ნოემბერი						
16.00	418	ოს გრენლანდი-ბოდიო გლიმტი	2,35	3,6	2,45	1,42	1,19	1,45
16.00	419	სოგნდალი-მოლდე	1,9	3,0	3,0	1,16	1,16	1,5
16.00	420	ვიკინგი-სტაბეკი	2,45	3,6	2,35	1,45	1,19	1,42
16.00	421	ალესუნდი-ბრინი	1,25	4,0	6,5	1	1,04	2,47
16.00	422	რუსენბორგი-ტრომსიო	1,3	5,3	5,3	1,04	1,04	2,65
16.00	423	ბრანი-ვოლერენგა	2,0	3,0	3,0	1,2	1,2	1,5
16.00	424	ლინი-ლილესტრიომი	2,1	3,5	3,0	1,31	1,23	1,61
		ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა.						
		XIII ტური						
		1 ნოემბერი						
17.25	495	ბანიკი-სიგმა	1,55	3,6	5,3	1,08	1,19	2,14
20.15	496	ბრნო-იაბლონეკი	1,55	3,6	5,3	1,08	1,19	2,14
20.15	497	ზლინი-სპარტა	4,0	3,4	1,75	1,83	1,21	1,15
20.15	498	ლიბერეკი-ოპავა	1,4	4,0	7,0	1,03	1,16	2,54
	499	ლიბერეკი-ოპავა 0:1	2,0	4,2	2,5			
20.15	500	ბლშანი-ბუდეიოვიცე	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
20.15	501	პლზენი-ტეპლიცე	2,8	3,0	2,4	1,44	1,29	1,33
		2 ნოემბერი						
17.00	502	ჟიკოვი-პრეიბრამი	2,2	3,0	3,2	1,26	1,3	1,54
		3 ნოემბერი						
19.40	503	სლავია-სინოტი	1,35	4,2	7,5	1,02	1,14	2,69
	504	სლავია-სინოტი 0:1	1,9	3,2	2,7			
		პოლონეთი						
		I ლიგა.						
		XI ტური						
		30 ოქტომბერი						
21.00	551	ვისლა-ლეჩნა	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
	552	ვისლა-ლეჩნა 0:1	1,8	3,4	2,7			
		არგენტინა						
		აპერტურა.						
		XII ტური						
		30 ოქტომბერი						
05.10	587	ინდეპენდიენტე-ველესი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. თასი						
		II ეტაპი. II მატჩები						
		30 ოქტომბერი						
23.30	695	ბრეშა-პალერმო	1,9	3,0	4,0	1,16	1,28	1,71
		შვედეთი. თასი. ფინალი						
		1 ნოემბერი						
18.30	718	ელფსბორგი-ასირისკა	1,55	3,6	5,3	1,08	1,19	2,14
		ფინეთი. თასი. ფინალი						
		1 ნოემბერი						
22.00	719	ჰიკ-ალიანსი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		30 ოქტომბერი						
20.00	1036	პოპრადი-ნიტრა	1,35	4,6	5,3	1,04	1,07	2,46
20.00	1037	ტრენჩინი-ზვოლენი	1,6	4,2	3,6	1,15	1,1	1,93
20.00	1038	მიკულაში-ჟილინა	2,1	3,8	2,45	1,35	1,13	1,48
20.00	1039	სკალიცა-მარტინი	1,7	4,0	3,4	1,19	1,13	1,83
20.00	1040	სლოვანი-კოშიცე	1,6	4,2	3,6	1,15	1,1	1,93
		კალათბურთი. იტალია						
		30 ოქტომბერი						
23.30	1157	მილანი-ბენეტონი	2,4	10,0	1,4	1,93	1	1,22
23.30	1158	მესინა-სიენა	3,1	10,0	1,25	2,36	1	1,11
23.30	1159	ტრიესტი-კალაბრია	1,5	10,0	2,2	1,3	1	1,8
23.30	1160	სკავოლინი-ნაპოლი	1,3	10,0	2,8	1,15	1	2,18
23.30	1161	ტერამო-უდინე	1,55	10,0	2,1	1,34	1	1,73
23.30	1162	ლიეორნო-აველინო	1,5	10,0	2,2	1,3	1	1,8
23.30	1163	ბიელა-როსეტო	1,55	10,0	2,1	1,34	1	1,73
23.30	1164	რომა-კანტუ	1,6	10,0	2,0	1,37	1	1,66
23.30	1165	ვარეზე-სკიპერი	2,0	10,0	1,6	1,66	1	1,37
		კალათბურთი. ესპანეთი						
		30 ოქტომბერი						
23.00	1181	ალიკანტე-ბარსელონა	2,3	10,0	1,45	1,86	1	1,26
23.45	1182	ვალიადოლიდი-ლეიდა	1,55	10,0	2,1	1,34	1	1,73
24.00	1183	მანრეზა-ბრეოგანი	1,1	10,0	5,0	1	1	3,33
		რაგბი. მსოფლიოს თასი						
		30 ოქტომბერი						
15.00	1251	ნამიბია-რუმინეთი	6,5	25,0	1,05	5,15	1	1
	1252	ნამიბია-რუმინეთი 20:0	1,8	10,0	1,8			
		31 ოქტომბერი						
12.30	1253	საფრანგეთი-აშშ	1,01	20,0	15,0	1	1	8,57
	1254	საფრანგეთი-აშშ 0:38	1,8	10,0	1,8			

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ის ჩათვლით)

		30 ოქტომბერი	
00.30	5210	ატლეტიკო-სოსიედადი ------	1,85-1,75

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		30 ოქტომბერი						
00.30	5010	ატლეტიკო-სოსიედადი	2,9	2,05	3,4	1,2	1,56	1,27

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

---------- კი ---------- არა

		30 ოქტომბერი	
00.30	5310	ატლეტიკო-სოსიედადი ---------	1,6-2,0

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება გაიანგარიშება)

		30 ოქტომბერი.	
00.30	5410	ატლეტიკო-სოსიედადი ----------	1,85- ---------- 1,95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

			I-ში	თანაბრად	II-ში
		30 ოქტომბერი			
00.30	5510	ატლეტიკო-სოსიედადი	3,0	2,8	2,0

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
				30 ოქტომბერი							
00.30	5110	ატლეტიკო-სოსიედადი	3,6	10,0	20,0	4,4	4,4	5,0	20,0	10,0	4,2

საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004“

III ეტაპი, II ტური

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------

რჩევა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 31.10.03

შტამპის ადგილი

III ეტაპი, II ტური
ჩაბარების ბოლო ვადაა 31.10.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------

მისამართი----------

საკონტაქტო ტელეფონი ----------

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)	დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
18.00	02.11	ფულჰემი - ლივერპული		18.00	02.11	ფულჰემი - ლივერპული	
20.05	02.11	ლესტერი - ბლეკბერნი		20.05	02.11	ლესტერი - ბლეკბერნი	
19.00	02.11	ბეტისი - ატლეტიკო		19.00	02.11	ბეტისი - ატლეტიკო	
19.00	02.11	სოსიედადი - ბარსელონა		19.00	02.11	სოსიედადი - ბარსელონა	
20.30	02.11	დორტმუნდი - ჰამბურგი		20.30	02.11	დორტმუნდი - ჰამბურგი	
20.30	02.11	კაიზერი - ლევერკუზენი		20.30	02.11	კაიზერი - ლევერკუზენი	
18.00	02.11	ბრეშია - პარმა		18.00	02.11	ბრეშია - პარმა	
23.30	02.11	კიევო - ინტერი		23.30	02.11	კიევო - ინტერი	

III ეტაპი, II ტური

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)	დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
18.00	02.11	ფულჰემი - ლივერპული		18.00	02.11	ფულჰემი - ლივერპული	
20.05	02.11	ლესტერი - ბლეკბერნი		20.05	02.11	ლესტერი - ბლეკბერნი	
19.00	02.11	ბეტისი - ატლეტიკო		19.00	02.11	ბეტისი - ატლეტიკო	
19.00	02.11	სოსიედადი - ბარსელონა		19.00	02.11	სოსიედადი - ბარსელონა	
20.30	02.11	დორტმუნდი - ჰამბურგი		20.30	02.11	დორტმუნდი - ჰამბურგი	
20.30	02.11	კაიზერი - ლევერკუზენი		20.30	02.11	კაიზერი - ლევერკუზენი	
18.00	02.11	ბრეშია - პარმა		18.00	02.11	ბრეშია - პარმა	
23.30	02.11	კიევო - ინტერი		23.30	02.11	კიევო - ინტერი	

III ეტაპი, II ტური

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)	დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
18.00	02.11	ფულჰემი - ლივერპული		18.00	02.11	ფულჰემი - ლივერპული	
20.05	02.11	ლესტერი - ბლეკბერნი		20.05	02.11	ლესტერი - ბლეკბერნი	
19.00	02.11	ბეტისი - ატლეტიკო		19.00	02.11	ბეტისი - ატლეტიკო	
19.00	02.11	სოსიედადი - ბარსელონა		19.00	02.11	სოსიედადი - ბარსელონა	
20.30	02.11	დორტმუნდი - ჰამბურგი		20.30	02.11	დორტმუნდი - ჰამბურგი	
20.30	02.11	კაიზერი - ლევერკუზენი		20.30	02.11	კაიზერი - ლევერკუზენი	
18.00	02.11	ბრეშია - პარმა		18.00	02.11	ბრეშია - პარმა	
23.30	02.11	კიევო - ინტერი		23.30	02.11	კიევო - ინტერი	

III ეტაპი, II ტური

დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)	დრო	თარიღი	გუნდები	პროგნოზი (ანგარიში)
18.00	02.11	ფულჰემი - ლივერპული		18.00	02.11	ფულჰემი - ლივერპული	
20.05	02.11	ლესტერი - ბლეკბერნი		20.05	02.11	ლესტერი - ბლეკბერნი	
19.00	02.11	ბეტისი - ატლეტიკო		19.00	02.11	ბეტისი - ატლეტიკო	
19.00	02.11	სოსიედადი - ბარსელონა		19.00	02.11	სოსიედადი - ბარსელონა	
20.30	02.11	დორტმუნდი - ჰამბურგი		20.30	02.11	დორტმუნდი - ჰამბურგი	
20.30	02.11	კაიზერი - ლევერკუზენი		20.30	02.11	კაიზერი - ლევერკუზენი	
18.00	02.11	ბრეშია - პარმა		18.00	02.11	ბრეშია - პარმა	
23.30	02.11	კიევო - ინტერი		23.30	02.11	კიევო - ინტერი	

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 1 ნოემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 1 ნოემბერს)

მეორე ეტაპი, ათი ტურის წინასწარი შედეგები

ადგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი	ქულა
1	ვეშაპიძე გია შოთას ძე	275(31-33-31-23-28-42-39-39-44-47)
2	ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე	259(34-50-31-34-21-36-37-37-31-31)
3-4	ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე	253(31-41-26-26-26-39-31-34-41-36)
3-4	თორდია ვალერიან ვალერიანის ძე	253(31-47-31-31-26-31-26-36-33-44)
5	მამუკაშვილი პავლე ედუარდის ძე	251(25-41-21-18-28-26-38-39-45-34)
6	ჟღენტი დიმიტრი გიორგის ძე	250(34-38-36-21-15-33-29-36-44-28)
7	მელიწკაური ლევან ვალერიანის ძე	249(31-41-39-13-26-28-31-45-31-31)
8	სირაძე ტარიელ ვაჟას ძე	248(42-41-26-32-18-36-31-28-38-25)
9-11	გორელაშვილი დავით გურამის ძე	247(23-35-36-34-31-31-34-36-41-30)
9-11	კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე	247(36-33-31-26-31-26-29-41-39-36)
9-11	წიკლაური მაია ინგურის ას	247(18-44-31-28-26-25-33-34-41-36)
12	მუმლაძე აკაკი დომენტის ძე	246(42-39-26-29-13-41-31-36-28-23)
13	სალუქვაძე ლევან ვალერიანის ძე	242(26-28-39-16-26-31-50-28-30-36)
14	ჟვანია სანდრო ბესოს ძე	241(23-45-23-21-18-28-42-36-38-29)
15	ფარცვანია ფრიდონ ღუდას ძე	240(36-33-31-23-23-42-25-42-28-28)
16-18	არჩვაძე გოჩა ნოდარის ძე	239(28-44-31-34-23-25-18-36-41-25)
16-18	კვირიკაშვილი პაატა ვასილის ძე	239(29-39-39-21-15-35-28-29-33-35)
16-18	სულაშვილი ვაჟა თედოს ძე	239(31-33-34-31-18-36-36-36-31-33)
19-21	კაკაბაძე გიორგი გიორგის ძე	238(26-36-28-28-26-34-39-36-35-30)
19-21	ფაცია გიორგი მურმანის ძე	238(39-38-34-18-18-28-28-33-36-30)
19-21	ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე	238(31-38-28-31-23-36-39-34-28-29)
22-25	ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე	236(34-41-25-29-25-36-34-29-31-31)
22-25	ლეჟავა მალხაზ ოთარის ძე	236(39-31-26-26-26-28-28-30-44-36)
22-25	მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე	236(18-33-31-16-26-36-33-31-36-36)
22-25	ჭუმბურიძე კახა ზაურის ძე	236(23-44-34-16-21-31-29-34-36-28)

შედეგების გაპროტესტება შეიძლება 4 ნოემბრამდე 11-დან 15 საათამდე გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში, აგლაძის 39ა, მე-3 სართული (გარდა პარსაჯევისა და ყვირისა)

საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

1. ტოტალიზატორ „ტაიმში“, კოსტავას ქ.№37.
2. მეტრო „ვაგზლის მოედანი“ პირველი გამოსასვლელი „პლანეტის“ ჯიხური №8
3. მეტრო „გოცირიძე“ „ფორტე 4“
4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის“ ჯიხური № 18 ატელიეს წინ
5. მეტრო „ვარკეთილი“ „ფორტე 2“
6. მეტრო „სამგორი“ „ფორტე 9“
7. მეტრო „თავისუფლების მოედანი“ მალაზია „თბილისი“
8. მეტრო „ახმეტელი“ „ფორტე 7“
9. მეტრო „ღრმაღელე“ „პლანეტის“ ჯიხური №20
10. მეტრო „დიდუბესთან“ „პლანეტის“ ჯიხური № 17
11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის“ ჯიხური № 16
12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის“ ჯიხური № 15
13. „მაცნეს“ ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „მაცნეს“ ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)
16. ბათუმში ზუბალაშვილის № 13 (ავთო გადახბაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)

ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში

II ეტაპის IX ტურის წინასწარი შედეგები

ადგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი	ქ.
1-2	მამუკაშვილი პავლე ედუარდის ძე	45
1-2	მეზურნიშვილი დავით გივის ძე	45
3-5	ვეშაპიძე გია შოთას ძე	44
3-5	ლეჟავა მალხაზ ოთარის ძე	44
3-5	ჟღენტი დიმიტრი გიორგის ძე	44
6-13	არჩვაძე გოჩა ნოდარის ძე	41
6-13	ასპანიძე გიორგი შოთას ძე	41
6-13	ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე	41
6-13	გორელაშვილი დავით გურამის ძე	41
6-13	გულუა კახაბერ არველოდის ძე	41
6-13	ლომაშვილი ოთარ გიორგის ძე	41
6-13	საყვარელიძე თამუნა სოსოს ას	41
6-13	წიკლაური მაია ინგურის ას	41
14-15	კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე	39
14-15	რაზმაძე რევაზ სევერიანის ძე	39
16-18	ჟვანია სანდრო ბესოს ძე	38
16-18	სირაძე ტარიელ ვაჟას ძე	38
16-18	ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე	38
19-25	ესოიანი დავით გივის ძე	36
19-25	მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე	36
19-25	მურუსიძე ნათია გივის ას	36
19-25	ჟორდანია ბაქარ აპოლონის ძე	36
19-25	ფაცია გიორგი მურმანის ძე	36
19-25	ციკოლია მამუკა ვალერიანის ძე	36
19-25	ჭუმბურიძე კახა ზაურის ძე	36

II ეტაპის X ტურის წინასწარი შედეგები

ადგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი	ქ.
1	ვეშაპიძე გია შოთას ძე	47
2	თორდია ვალერიან ვალერიანის ძე	44
3	სერებრიაკოვი გია ჰამლეტის ძე	41
4-5	მეზურნიშვილი დავით გივის ძე	39
4-5	ძნელაძე თეიმურაზ კამოს ძე	39
6	ბეგიაშვილი ანა მიხეილის ას	38
7-19	ავლოხაშვილი ავთანდილი ანტონის ძე	36
7-19	ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე	36
7-19	გოგოლაძე გიორგი ჯამბულის ძე	36
7-19	გურგენიძე ზურაბ ანტონის ძე	36
7-19	კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე	36
7-19	ლეჟავა მალხაზ ოთარის ძე	36
7-19	მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე	36
7-19	მჭედლიშვილი ილია კობას ძე	36
7-19	ოსიაშვილი ამირან ილიას ძე	36
7-19	სალუქვაძე ლევან ვალერიანის ძე	36
7-19	ქევხიშვილი ბიძინა ალექსანდრეს ძე	36
7-19	ყიფიანი ავთანდილ გრიგოლის ძე	36
7-19	წიკლაური მაია ინგურის ას	36
20-21	იოსელიანი ლევან ვახტანგის ძე	35
20-21	კვირიკაშვილი პაატა ვასილის ძე	35
22	მამუკაშვილი პავლე ედუარდის ძე	34
23-31	აბესაძე თეიმურაზ იაშას ძე	33
23-31	ასპანიძე გიორგი შოთას ძე	33
23-31	ბახტაძე ირაკლი ნიკოლოზის ძე	33
23-31	გიორგაძე ოთო კობას ძე	33
23-31	დგებუაძე უჩა ალექსის ძე	33
23-31	მირიანაშვილი მიხეილ გიორგის ძე	33
23-31	ჟორდანია ბაქარ აპოლონის ძე	33
23-31	სულაშვილი ვაჟა თედოს ძე	33
23-31	წერეთელი დიმიტრი მურადის ძე	33

ყურადღება მიაქციეთ მიმდინარე კვირის კალენდარს! იწყება მესამე ეტაპი. პირველი-მეექვსე ტური

კვირის კალენდარი

27 ოქტომბერი - გაზეთი „ახალი ვერსია“, მესამე ეტაპის მე-3 ტური, სამი ვარიანტი, ჩემპიონთა ლიგა (4 ნოემბერი); მეორე ეტაპის მე-7 და მე-8 ტურის წინასწარი შედეგები, კონკურსის დებულება

28 ოქტომბერი - ჟურნალი „ულტრა“, მესამე ეტაპის მე-4 ტური, სამი ვარიანტი, ჩემპიონთა ლიგა(5 ნოემბერი).

28 ოქტომბერი - *გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის პირველი ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ(1 ნოემბერი);*

29 ოქტომბერი - *გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მე-5 ტური, სამი ვარიანტი, უეფას თასი(6 ნოემბერი); მეორე ეტაპის მე-9 და მე-10 ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა ათი ტურის შემდეგ(წინასწარი შედეგები).*

30 ოქტომბერი - *გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მე-2 ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ(2 ნოემბერი); მეორე ეტაპის მე-9 და მე-10 ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა ათი ტურის შემდეგ(წინასწარი შედეგები).*

31 ოქტომბერი - *გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მე-6 ტური, სამი ვარიანტი, უეფას თასი(6 ნოემბერი);*

1 ნოემბერი - *გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ტური, ერთ ვარიანტად, ჩემპიონთა ლიგა(4-5 ნოემბერი) უეფას თასი(6 ნოემბერი); მომდევნო კვირის კალენდარი, კონკურსის დებულება.*

საქართველოს ჩემპიონატი

29 ოქტომბერი, ვერის ბაღი

დინამო 82:90 ბასკო

22:20, 16:19, 23:28, 22:23

დინამო: გამყრელიძე (5), ტულუში (18), ბეგანიშვილი (17), მინაშვილი (7), მუშკუდიანი (6); ჟღენტი (18), ხოშტარია, ლოსაბერიძე (11), კეიდია, ჩუბინიძე

ბასკო: ი. ბერიშვილი (6), ბ. ბერიშვილი (22), კეშელავა (12), ტუჯანი (11), ბერძენიშვილი (19); დ. ბერიშვილი (16), ჩხატარაშვილი, კვიმსაძე, იმნაძე (4)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

სტუ 96:90 მაკაბი

24:29, 20:10, 28:21, 24:30

სტუ: ნიკოლაძე (14), გაგნიძე, მარკოიშვილი (18), ბაბიაშვილი (12), ოგანესიანი (14); ქისტაური (2), ხეცურიანი (15), ლაფანაშვილი, დავითულიანი (7), ახალკაცი (6), შანიძე (8)

მაკაბი: ნინოშვილი (12), წოწელია (39), ფიცხელაური, ვაშაკიძე (8), სუხიშვილი (20); კონჯარია (5), ოთიურიძე (6), ქოქოსაძე

მსაჯები: ხათუნა გაბეიდავა, ლია ქაჯაია

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ბასკომ დინამოს თამაში გაურჩია, ბრაიკოშვილმა ბერეკაშვილს საქმე



ბრაიკოვიჩ ბერეკაშვილი ფოტო

დრაჟენ ბრაიკოვიჩს ქართველი მწვრთნელების სენი შეეყარა, მსაჯ დავით ბერეკაშვილს საქმე გაურჩია და ტექნიკურიც დასტყუა

მსაჯებზე გაქაჩული დრაჟენ ბრაიკოვიჩი აქამდე არ გვენახა და გუშინ ესეც ვნახეთ. ამბავი მოხდა ვერის ბაღში, ბოლო ორი ფინალის მონაწილე „ბასკოსა" და „დინამოს" შორის ცენტრალურ, გადაკვრით თუ ვიტყვით, „ტიტანთა მატჩში".

დინამოელთა ხორვატ თავკაცს მაშინ უმტყუნა ნერვებმა, როცა მისი გუნდის საიმმომენტოდ ერთადერთმა იმედმა არჩილ ჟღენტმა მეხუთე პერსონალური მიიღო და მოედანი დატოვა. დრაჟენი მთელი მატჩი იბოღმებოდა თავისი შეგირდების უილაჯობის შემხედვარე და როცა უკანასკნელი იმედი გადაეწურა, მსაჯ დავთი ბერეკაშვილს მიეჭრა და სლავიანური ნაზავით რაღაცას უყვიროდა, თანაც თავს ისე აქიცინებდა, განერვიულებულმა ბიჭებმა რომ იციან ხოლმე საქმის გარჩევისას. ბერეკაშვილისთვის ეს ამბავი არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. ჰოდა, აიღო და ნერვებაწეწილ ხორვატს ტექნიკური გამოუწერა. ბასკოელმა დავით ბერიშვილმა აუღელვებლად ჩააგდო სამი საჯარიმო, ბათუმლები 7 ქულით დააწინაურა საფინალო სირენამდე ორნახევარი წუთით ადრე და ფაქტობრივად გაუფორმა კიდეც „დინამოს" პირველი საამჩემპიონატო მარცხი.

„დინამო" დამარცხდა მეტოქესთან, რომელმაც თითქმის ყველაფერში აჯობა. ბრაიკოვიჩის გუნდს რომ ფარზე პრობლემები აქვს, ცნობილი ამბავია, „ბასკო" კი ძლიერი ცენტრებით გამოირჩევა და ბათუმელებს ფარქვეშ წინაამდეგობა არ შეხვედრიათ. თავად განსაჯეთ, დინამოელთა ცენტრმა დავით მუშკუდიანმა თამაშიდან ბურთი ვერ ჩააგდო, თავდამსხმელმა ზურაბ ჩუბინიძემ კი სულაც უქულოდ დატოვა მოედანი.

ეს ბათუმელი დავით ბერძენიშვილისა და მისი დამხმარე ჟოლივეტ ტუჯანის დამსახურება იყო. პირველმა 19 ქულა მოიხვეჭა კამერუნელმა კი გვარიანად „იფრინა" და ბლომად მოხსნები მიითვალა.

არადა, თავიდან დინამოელებმა უკეთ დაიწყეს და პირველი მეოთხედის მიწურულს 22:14 დაწინაურდნენ. ბათუმელებმა მეტოქეს უმალ მოუნახეს სუსტი წერტილი, დაცვაში გამაგრდნენ და სწრაფი პირველი შეტევებით სხვაობა ორ ქულამდე შეამცირეს.

მეორე მეოთხედიდან „ბასკომ" სისწრაფეს უმატა, თანაც იმდენად, რომ უკანა ხაზით განთქმული „დინამო" ვერაფერს უხერხებდა მეტეორებივით მქროლ ბერიშვილთა ტრიოს — დავითს, ირაკლის და ბუბას.

ბათუმელებმა მატჩის სადაველები მოიხელთეს და მეორე ტაიმის ახალდაწყებულზე ორწუთიანი მონაკვეთი 10:0 მოუგეს თბილისელებს. „ბასკოს" ამ გაქცევაში თავი ისახელა დავით ბერიშვილმა, ვინაც მიჯრით მიითვალა 8 ქულა. შედეგად სტუმრებმა 14-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, რაც თამაშის ბოლომდე იოლად შეინარჩუნეს.

მაგრამ ბათუმელებს საფრთხე მაშინ დაემუქრათ, როცა ბოლო მეოთხედში არჩილ ჟღენტმა „ბასკოს" ფარისკენ ბილიკები გაკვალა და მისთვის ჩვეული პარაშუტისებური სროლებით მალიმალ იხვეჭდა ქულებს. ანგარიშიც თითქოს გალღვა, ოთხამდე შემცირდა, მაგრამ ჟღენტმა რომ მე-5 პერსონალური მიიღო, ყველაფერი აქ დამთავრდა გაფითრებული ბრაიკოვიჩისთვის და... ამით არ დავიწყეთ?!

ირაკლი პერტაია

სატურნირო ვითარება					
ბასკო	6	5	1	569:422	11
თსუ	6	4	2	503:497	10
დინამო	5	4	1	457:357	9
სტუ	5	3	2	499:444	8
რუსთავი	5	3	2	418:391	8
მაკაბი	5	2	3	520:553	7
ქუთაისი	5	0	5	326:506	5
სსუ	4	0	4	308:430	4

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ისე იწვიმა, როგორც ქუხდა

ლეიკერსმა დალასი დაასვენა

28 ოქტომბერი

ლეიკერსი 109:93 დალასი

ლეიკერსი: პეიტონი (21 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), ონილი (16 ქულა, 9 მოხსნა), ფიშერი (16), ჯორჯი (16), მელოუნი (15 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი)

დალასი: ნოვიცკი (19 ქულა, 13 მოხსნა), უოლკერი (19), ჯემისონი (17), ფინლი (12)

სან ანტონიო 83:82 ფინიქსი

სან ანტონიო: დანკანი (24 ქულა, 12 მოხსნა, 6 დაფარება)

ფინიქსი: მარბერი (24), მარიონი (20), სტუდემაიერი (10)

ფილადელფია 89:74 მაიამი

ფილადელფია: აივერსონი (26 ქულა, 11 პასი, 5 ჩაჭრა, 5 მოხსნა)

მაიამი: უეიდი (18), ჯონსი (15), გრანტი (13)

რეგულარული ჩემპიონატის მარათონი სამ ქალაქში დაიწყო. საინტერესო მატჩები გამოვიდა, ყველაზე დაძაბული ჯახი კი სან ანტონიოში შედგა, სადაც ამ ქალაქის გუნდის წევრებს თამაშის დაწყებამდე ძვირფასი ქვებით გაწყობილი საჩემპიონო ბეჭდები ჩამოურიგეს.

„სან ანტონიოს" მთავარ არენაზე მივიდნენ აწ უკვე კალათბურთიდან წასულები, დევიდ რობინსონი და სტივ კერი, რომლებმაც საჩემპიონო ბეჭდები მოირგეს. პირველი ოჯახთან ერთად წინა რიგებში მოკალათდა თავისიანთა საქომაგოდ, მეორე კი ტელეკომპანია „ტიენტის" კაბინაში „ფინიქს სანზთან" მატჩის საკომენტაროდ.

ჩემპიონმა ჩემპიონურად ვერ ითამაშა, კერკეტი მეტოქე ბოლო წამებზეღა დაამარცხა. „მზეები" „დეზების" მუსუსებად არიან ცნობილნი, წინა რეგულარულის ოთხ შეხვედრაში სამჯერ უძლევიათ სანანტონიოელები და ბოლო პლეი ოფშიც ხუთიდან ორჯერ მოუგეს. არც ახლა დაადგებოდა კარგი დღე „სან ანტონიოს", რომ არა სამარქაფო ანტონი კარტერი, რომელმაც იმ დღეს ტრავმირებული ტონი პარკერის ნაცვლად ითამაშა. კარტერმა ბოლო წამებზე მეტად საჭირო მოხსნა გააჯერხა მეტოქის ფარზე, რისი წყალობითაც ჩემპიონებმა ერთი ქულით აჯობეს ფინიქსელებს.

კარტერის ამაგი მხოლოდ ის მოხსნილი ბურთი როდია, მან გადამწყვეტ მომენტში გვარიანად შებოჭა მანამდე გალაღებული სტივენ მარბერი, ვინც ამ მატჩის ბომბარდირი გახდა ჩემპიონთა ლიდერ ტიმ დანკანთან ერთად.

წინა სეზონის უძვირფასეს კალათბურთელს თავად არ უჭირდა, მაგრამ გამოცდილი დევიდ რობინსონის გარეშე სანანტონიოელთა შეტევა ძველებურად ვერ მძლავრობდა. დანკანს „ადმირალის" ნაცვლად გვერდში მინესოტადან გადმოყვანილი რაშო ნესტეროვიჩი ამოუყენეს, რომელიც სადებიუტო მატჩში გვარიანად შერცხვა. წოწოლა სლოვენიელი უილაჯობის გამო ოდენ 15 წუთი გაჩერეს მოედანზე და ამ ხანში მას 2 ქულა და 3 მოხსნა დაუგროვდა.

დიდ ჯახს ელოდნენ ლოს ანჯელესში, სადაც ჯანზე მოსული დევების „ლეიკერსისა" და „დალასის" ომი იყო დათქმული. ბრძოლა არ შედგა, „ლეიკერსმა", ისევე როგორც წინა 26 ლოს ანჯელესურ შეხვედრაში, დალასელებს გამოვიდა, თანაც ისე, რომ წარმატების ნატამალი შანსიც კი არ მიუცია.

„საოცრებაა, ჩვენ ვფლობთ ყველანაირ ცეცხლსასროლ დანადგარს: ზარბაზანს, ქვემეხს, ტყვიამფრქვევს" — ხატოვნად გამოხატა თანაგუნდელთა სიძლიერე ლეიკერსელთა ისე რა ფორვარდმა ბრაიონ რასელმა.

მართლაცდა, ზარბაზანმა შაკილ ონილმა და ქვემეხმა კარლ მელოუნმა ისე გაბდღვნეს დირკ ნოვიცკი, ანტუან უოლკერი და ძმანნი მათნი, რომ ტყვიამფრქვევი კობი ბრაიტანტი არც კი დაიხმარეს. ბებერმა მელოუნმა სულაც ახალგაზრდობა გაიხსენა და სადებიუტო ლეიკერსულ მატჩში თითქმის საამმაგი დუბლი მიითვალა — კინკილა პასი დააკლდა.

მოძალადე კობი ბრაიანტს არ უთამაშია, ის მესამე მეოთხედამდე სულაც არ გაკარებია ლეიკერსელთა ბანაკს, თუმცა მესამე მეოთხედში გამოჩნდა სათადარიგო სკამზე და თამაშის ბოლომდე არ ამდგარა იქიდან.

მესამე შეხვედრას ფილადელფიამ უმასპინძლა, სადაც ორი მწვრთნელის, „სიქსერზის" თავკაც რენდი აივერსისა და მაიამელთა დამრიგებლის სტან ვან განდის დებიუტი შედგა. პირველმა იმარჯვა და რომ დამარცხებულიყო, ეს იქნებოდა ამბავი. ალენ აივერსონის გუნდმა ყველაფერში „ათრია" პატ რაილის ყოფილი შეგირდები. მაიამელთა უძვირესმა შენაძენმა ლამარ ოდომმა კი 8 წუთი ირბინა და მერე ფეხი წამოსტკივდა.

მაიამელებს ერთადერთ ნუგეშად ისღა დაურჩებათ, რომ მათმა ახალბედა დევინ უეიდმა, რომელიც წლევანდელ დრაფტზე მე-5 ნომრად აიყვანეს, ჩინებულად ითამაშა.

ირაკლი პერტაია



REUTERS ლოს ანჯელესიდან

კარლ მელოუნმა, გერი პეიტონმა და შაკილ ონილმა უბრაიანტოდ, მაგრამ ხორხოცით დაიწყეს

RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

მადლობა თქვენდა, მუსიე სორელ, ან უნდა გითხრათ ორეუარი

ახალი ზელანდიისთვის მსოფლიოს თასი ჯერ არ დაწყებულა, „შავებმა" ჯგუფური ეტაპი ისე მოიღიეს, ლირსეულ მეტოქეს არ გადაჰყრიან, მონაწილეთა ნახევარზე მეტისთვის კი ტურნირი უკვე დასრულდა. ამათ შორის საქართველოცაა. ბორჯღალოსნები აკსტრალიიდან ოთხ თამაშში ოთხი მარცხით მოდიან, 46 გატანილი და 200 გაშვებული ქულით. ლელოების შეფარდება ერთი ოცდარვასთან, აქ საკამათოც არაფერია, ცუდი შედეგია და, სამწუხაროდ, სრულიად შეესაბამება „ლელოების" თამაშის ხარისხს

„ლელოებს" უკეთ გამოსვლაც შეეძლოო, და თუ რატომ ვერ გამოვიდნენ... მიზეზების მთელი სია შეიძლება ჩამოვწეროთ. უმთავრესი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ ჯოჯოხეთად ქცეულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ასეთ საქართველოში რაება კი არა, ვერც ერთი სფერო ვერ აყვავდება. მაგრამ ხელოვნებაზე საუბარი ჩიხში შეგვიყვანს, ხელისუფალთა დანამუსება წყლის ნაყვა.

მაგრამ სარაგბო ხელისუფალთ კი უნდა ვკითხოთ ერთი რამ: ნორმალურობის კიბეზე ფეხის შვიდგმის და ერთი საფეხურით წინსვლის შემდეგ ისევ ცოდვიან მიწაზე დაბრუნებას და ყველაფრის თავიდან დაწყებას ხომ არ აპირებენ?

ქართველმა „ლელოებმა" ისტორიული პრეცედენტი შექმნეს, დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში ქვეყნის სათამაშო ნაკრებიდან პირველებმა გაიარეს საკვალიფიკაციო ეტაპები და მოხვდნენ პლანეტის უდიდეს ტურნირში. „ლელოებმა" და მათმა ფრანგმა მასწავლებელმა კლოდ სორელმა ავსტრალიაშიც დიდი გზა გაიარეს, გადაიხადეს რამდენიმე მარცხი ძლიერ ბრძოლა, დაიმსახურეს უძლიერესთა გვერდით ყოფნა და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მათ იმ სიხარულისთვის, რომელიც გვაჩუქეს.

ბორჯღალოსნები ჩვენში პირველთაგანნი იყვნენ, ვინც შეგვაცნეს — სპორტი თავისი არსით ბრძოლაა, შეჯიბრებაა, გამარჯვების და წინსვლის მოთხოვნილებაა და ვინც შეჯიბრებაში მხოლოდ მონაწილეობითაც კმაყოფილია, ის ვერ იქნება სრულფასოვანი სპორტსმენი.

ეს გაუხარელი საქართველო ბოლო წლებში ისე ვერავინ აანთო, როგორც ბორჯღალოსნებმა. ჩვენ დავინახეთ, რომ მათ რაღაც შეუძლიათ და მსოფლიოს თასსაც ამ იმედით ველოდით. აბა, ახლა გაგვიხარდებოდა ქართული გამარჯვება იქ, უძლიერესებში. მეტოქეებიდან სუსტი შევარჩიეთ, რეიტინგით საქართველოზე დაბლა მდგომი ურუგვაი და ველოდით...

საქართველო ავსტრალიიდან ოთხი მარცხით მოდის. ის, რაც ვერ ვნახეთ პირველ სამ და ჩვენზე ობიექტურად ძლიერ მეტოქეებთან, „ლელოებმა" ვერც მეტ-ნაკლებად მათი კალიბრის ურუგვაისთან გამოამჟღავნეს. ნაკრებს აკლდა ორგანიზებულობა, აზრი და მიზანი. და რაც ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა, ნაკრებს არ ეყო სარაგბო ცოდნა.

ბოლო თამაშის შემდეგ კლოდ სორელმა აღიარა საკუთარი შეცდომები — გუნდი ვერ არის სათანადო დონეზე მომზადებულიო (სხვათა შორის, ეს მხოლოდ მისი ბრალი როდი იყო, მსოფლიოს თასის წინ ნაკრებმა მხოლოდ ერთი ტესტი გამართა იტალიასთან, რაგბის მამებმა ვერ მოახერხეს კანადასთან და აშშ-სთან ადრე დაგეგმილი ორი ტესტის ორგანიზება). სორელმა არც სხვა შეცდომებზე თქვა უარი — ალალად აღიარა, ტაქტიკურად შეცდიო.

თავისთავად კლოდ სორელი ურიგო მწვრთნელი არაა, მაგრამ მისმა გუნდმა შეწყვიტა წინსვლა. სორელის და მისი ბიჭების საუკეთესო სეზონად შარშანწინდელი ჩაითვლება — 2001 წელს კრასნოდარში რუსეთის და ბუქარესტში რუმინეთის ძლევის შემდეგ ევროპის მცირე სარაგბო თასი ანუ ერთა თასი მოიგეს, შემოდგომაზე კი საფრანგეთის „ა" ანუ მეორე ნაკრები დაამარცხეს და თანაბრად ეჭიდავნენ სამხრეთ აფრიკის მეორე ნაკრებს. თუ არ ჩავთვლით რუსეთთან სამ მატჩში ორ გამარჯვებასა და ერთ ფრეს, მას შემდეგ ბორჯღალოსნები უკან იხევენ.

კლოდ სორელს კულუარებში ნათქვამი აქვს, რომ მსოფლიოს თასის შემდეგ ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში გადადგებოდა ნაკრების თავკაცობიდან. კარგი იქნებოდა, წასულს ხელი ერთი ავსტრალიური გამარჯვებით დაემშვენებინა. მაგრამ ჩვენ უამისოდაც მადლობით გავაცილებთ მას. ისე, თუ ნაკრებში მენეჯერად დარჩება, არც ეს იქნება ცუდი. მით უმეტეს, რომ სორელის სამშობლოში ბარე 70 ქართველი თამაშობს და მათი უმრავლესობა იქ სორელის დახმარებითაა წასული.

ქართული რაგბის მამებს კი სხვა, უფრო ძლიერი მწვრთნელის მოწვევა ვთხოვოთ, თუნდაც ახალზელანდიელის. სხვათა შორის, მსოფლიოს თასის 20 მონაწილე ნაკრებიდან ექვსს — ახალი ზელანდიის გარდა უელსს, იტალიას, სამოას, ფიჯისა და ტონგას სწორედ ახალზელანდიელი თავკაცი ჰყავთ. სამოასა და ტონგას რაგბის კავშირები სულს ღაფავენ, ლამის საერთოდ შეწყვიტონ არსებობა, მაგრამ ახალზელანდიელი სპეციალისტები არ გაურბიან ამ ღატაკ კუნძულებზე მუშაობას და რაღა ქართველებს ჩაგვთვლიან კაციჭამიებად.

მწვრთნელის შეცვლა კატასტროფა არ იქნება, აგერ, რუმინელებიც უშვებენ ბერნარ შარერს, რაკი მის ხელში „მუხის ფოთლებმა" წინსვლა შეწყვიტეს. არადა, შარერის გუნდმა ამ გაზაფხულზე თბილისში დიდი სათამაშო უპირატესობით მოუგო კლოდ სორელის „ლელოებს", ამ ორი კვირის წინაც ავსტრალიაში უფრო თამამად მოუხტა ირლანდიელებს, ვიდრე საქართველო შარშან დუბლინში.

რუმინელებს წინსვლა სწადიათ და მიღწეული არ აკმაყოფილებთ. მაგალითად აქვთ სხვა მათსავით „საშუალო" სარაგბო ერების, ვთქვათ, არგენტინის ან იტალიის წარმატება. არგენტინას არასდროს უჭირდა მსოფლიოს თასზე მოხვედრა, მაგრამ მხოლოდ ერთ ადგილს ტკეპნიდა, სანამ იქ რაგბის სერიოზულად არ მიეხედა. 1998 წლიდან არგენტინაში რაგბის გაპროფესიულება დაიწყო და უკვე ერთ წელიწადში მსოფლიოს თასზე „პუმები" მეოთხედფინალში მოხვდნენ. ახლა კი რეიტინგში საპატიო მეშვიდე ადგილზე არიან. იტალია კი, აგერ, ექვს ერშია და თუ ბედმა ნიჭიერი თაობა აჩუქა, უამრავი პირობა აქვს, რომ ძლიერებაში აინაცვლოს.

ბიძინა გეგიძეს ვერ მოვთხოვთ, რაც იტალიაში რაგბიზე ფული იხარჯება, შენც იმდენი მოიზიდე ქართულ რაგბიშიო, მაგრამ ოდესღაც ეს საქმეც ხომ უნდა დაიძრას. საქართველოს სარაგბო ჩემპიონატი მწარე რეალობაა, მოყვარული ბიჭებისგან შეკოწიწებული კლუბები სამგზავრო ფულს ძლივს შოულობენ და ხელფასების გაცემის ფუფუნება ერთ ან ორ კლუბს თუ აქვს. მაშინ, როცა ახალ თაობას სამი-ოთხი ენთუზიასტი მწვრთნელი ზრდის, რაღა გასაკვირია, რომ ქართულ რაგბის და, რა თქმა უნდა, ნაკრებსაც შეზღუდული პერსპექტივა აქვთ.

საქართველოს რაგბის კავშირი მოკლევადიან გეგმას მიჰყვება, პრიორიტეტს ნაკრებს ანიჭებს, ჩემპიონატი კი განზე რჩება და ქართული რაგბის საძირკველი სულ უფრო მეტად ირყევა. საქართველოს ნაკრები მომავალ მსოფლიოს თასზეც უნდა გავიდეს, მაგრამ შესაძლოა, მხოლოდ რუსეთის ძლევა არ ეყოს ამ საქმეს. აგერ პორტუგალიამაც ისწავლა თამაში და მეურნეობაც თანდათან გამართა. ანკი რუსეთი უკვე ჩამოვწერეთ?

ყოველთვის ვერ გაათრევს სამ მეტოქეს ლეონსიო. ლეონსიოებს გაზრდა უნდა.

ირაკლი ფირაზვილი

კლოდ სორელს პრობლემები გაუშიშვლდა

შინაურ ქართულ რაგბის პატრონობა ენატრება

ბეს ახალაძის ფოტო

ბიძინა გეგიძის ჯამი ფიქრისა

ბადრი ჯიმელაძის ფოტო

ტონგას კაცი გააქვს, კანადას ლელოები

29 ოქტომბერი. ვულონგონგი

კანადა 24:7 ტონგა

კანადა: ფიფი (პრიტჩარდი), ფუტი, უიტკოვსკი (სმიტი), დი ჯიროლამო, სტენლი, როსი, უილიამსი (დაირპურსტი); ჯეკსონი, სტაფერენი, კუდმორი (რიდი), ჯეიმსი (იუკისი), შერონი (კაპ) (ტკაჩუკი), კუკი, ლოუსონი, სნოუ (აბრამსი)

2ლ: ფუტი, აბრამსი; **1გ:** პრიტჩარდი; **4ს:** როსი

ტონგა: ლეგერი (პალუ), ფიფიტა, ნ. ნგუამო (ფუფანგა), პეინი, ფონუა (ვაკი), ჰოლა, მარტინსი; კივალუ (ლატუ), ტუამოელოა, ნაუფაუ (ფენუკიტაუ), აფეაკი (კაპ), მ. ნგუამო, ლავეკა (ტონგა), ტაუკაფა (მაასი), ლეაეტოა

1ლ: აფეაკი; **1გ:** ჰოლა

კანადელთა და ტონგელთა D ჯგუფის ბოლოსწინა ჯაბში ჯგუფის აუტსაიდერები ერთმანეთში ახალი ზელანდიის, უელსისა და იტალიის შემდეგ მე-4 საპატიო ადგილის პატრონს არკვევდნენ.

ცხადია, არც ერთს სურდა, ფსკერზე დაესრულებინა მსოფლიოს თასი და უშელავათო ბრძოლაც გაჩაღდა. ორომტრიალში და დაკადაკაში კი ჩრდილოამერიკელების ღონემ და ხერხმა გაჭრა და კანადამაც ჩამოიტოვა ტონგა, ამასთან მსოფლიოს თასზე მინიმუმ მე-15 გუნდობაც დაიბევა.

ზურგქარში მოთამაშე კანადელები დებიუტშივე დაწინაურდნენ. მათმა ვეტერანმა დამრტყმელმა რობ როსმა სამი ჯარიმა უთავაზა ტონგელებს. ცნობისთვის, როსი 1989 წლიდან თამაშობს ნაკრებში და 13-წლიანი სანაკრებო სტაჟით ერთ-ერთი „უხუცესი" მოთამაშეა მსოფლიო რაგბში.

როსის 3 ჯარიმის წილი ტონგამ ლელო-გარდასახვა გაახერხა, მაგრამ მეტი ვედარაფერი შეძლო და ტაიმიც 2 ქულით წააგო. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ეს იყო ოკეანელთა პირველი და ბოლო ქულები.

მეორე ტაიმში კანადელები მეტს უტევდნენ, მაგრამ ეს უპირატესობა ქულებში კარგა ხანს ვერ გარდასახეს. ბოლოს ტონგელთა ციხე მაინც გატყდა. ოკეანელები ათი წუთით კაცნაკლულნი დარჩნენ, რაკი შეცვლაზე შესულმა დავიდ პალუმ კანადელ მარკო დი ჯიროლამოს ბარაქიანი მუშტი უთავაზა და სახე დაუსისხლიანა. რიცხობრივი უპირატესობა კანადელებმა ორ ლელოში ასახეს, ბოლოსკენ როსმა შეაგდო მეოთხე საჯარიმო და მატჩს წერტილი დაუსვა. მანამდე კი ირლანდიელ მსაჯ ალან როლანს კიდევ ერთი ტონგელის, პიერ ჰოლას ათი წუთით გაგდება მაინც მართებდა, რადგან იგი ელ შერონს ისე შეასკდა, საცოდავი საკაცით გასაყვანი შეიქნა.

ბაჩო სვანიძე

D ჯგუფი

ახ. ზელანდია	3	0	0	+209	15
უელსი	3	0	0	+50	13
იტალია	2	0	2	-46	8
კანადა	1	0	3	-81	5
ტონგა	0	0	4	-132	1

4 ლელოს გამტან ან 7 და ნაკლები ქულით წამგებ გუნდს ენიჭება ერთი პრემიალური ქულა

პირველ-მეორეზე გაითვალეთ...

შავი და თეთრი ხალიჩაზე გაირკვევა

პარიზის მასტერსი

ხალიჩა

საპრიზო 2,45 მილიონი ევრო

პირველი წრე

გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — მარდი ფიში (აშშ) 6:4, 7:6 (7:2); დოვინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — ვინს სპადია (აშშ) 7:6 (7:1), 6:1; ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:6 (7:4), 6:3; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:4, 7:6 (7:5)

მეორე წრე

ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — ნიკოლა მაუ (საფრანგეთი) 7:6 (9:7), 6:4; ენდი როდიკი (2, აშშ) — ვიკტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 7:6 (7:4), 7:6 (7:4); პარადორნ შრიჩაფანი (8, ტაილანდი) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 7:6 (7:4), 6:3; ნიკოლას მასუ (10, ჩილე) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 3:6, 6:1, 7:5; ჰიშამ არაზი (მაროკო) — იუნეს ელ აინაუი (12, მაროკო) 6:4, 3:6, 1:2 ელ აინაუიმ შეწყვიტა; ტომი რობრედო (16, ესპანეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 7:5, 6:3

სეზონი დაისისკენ მიდის და რეიტინგსიათა სათავეებში პირველოსნობისთვის ბრძოლა მძაფრდება. პირველი შვიდეულები ორგანვე ერთნაირია, თუმცა წლის მთავარმეჩოგნედ გასრულების შანსი მხოლოდ სამსა აქვს: ფერეროს, ვინაც 12-თვიან მგორავ რეიტინგსიას 4535 ქულით ლიდერობს, ჩემპიონთა რბოლას კი — 826-ით, ენდი როდიკს, რომლის ქულადი მონაგარიც, შესაბამისად, 4235 და 822-ია და როჯერ ფედერერს, ვისაც ამჟამად ერთგან 3925, ხოლო მეორეგან 700 ქულა მოეძევება.

ფედერერი პარიზულ ხალიჩაზე ჯერ არ გასულა, ფერერომ და როდიკმა კი ჩოგნები იმ დღეს გაშალეს და კაი ძალი გარჯაც დაადგათ. ესპანელს ფიცხელი ნაუკანახაზევი გლაჯა-გლეჯი აუტეხა „განთესვის რეიტინგსიაში" ოდენ 108 საფეხურზე მდგომმა ფრანგმა ნიკოლა მაუმ, ამერიკელს კი კიდევ უფრო მძაფრი ბრძოლა დასჭირდა უსახელო რუმინელის, ვიკტორ ჰანესკუს დასაურვებლად.

მისი თამაში აქამდე არასოდეს მენახა და ასე თუ გაგრძელა, შორს უნდა წავიდესო, ხოტბას ასხამდა მოულოდნელად გაჯიქებულ მეტოქეს ფერერო. თავად კოლობიჭი წლეულს მე-19 ტურნირზე გამოდის და, როცა დაეკითხნენ, ხომ არ დაიღალეო, იუარა. „მართალია, დატვირთული წელი მქონდა, მაგრამ პირველოსნობისთვის ბრძოლის აუცილებლობა დაღლილობასაც მავიწყებს და მეტი ჯანითაც მავსებს" — თქვა მან.

ამაზევე საუბრობდა თავის მატჩის შემდეგ როდიკიც — ძალიან მინდა, წელი კენწეროში დავასრულოო.

სხვაფრივ — წლის დამაგვირგვინებელი რვაკაცა მასტერსთასითვის ბრძოლას განაგრძობს რბოლაში მე-11 საფეხურზე მდგომი ტაილანდელი შრიჩაფანიც, ვისი ჰიუსტონში მოხვედრაც, აქვე უნდა ითქვას, მის წინ მყოფი დავიდ ნალბანდიანის (8), მარკ ფილიპუსისისა (9) და სებასტიან გროჟანის (10) საპარიზო გარჯაზეცაა დამოკიდებული. შრიჩაფანს 304 ქულა აქვს, ნალბანდიანს (392), ფილიპუსისს (322), ხოლო გროჟანს (321). თუკი არმენოარგენტინელი იქ თუნდაც ერთ შეხვედრას მოიგებს, პარადორნს ტურნირის მოგებაც ვეღარ უშველის...

საინტერესო იყო იმ დღეს გუსტავო კუერტენისა და ამერიკელი მარდი ფიშის განდაგანაც — გუგა ფრანგთა სატახტოში სანკტ პეტერბურგის ტურნირიდან გამარჯვებული ჩავიდა, ფიშმა კი წინა უქმეებზე სტოკჰოლმში კარიერის პირველი ტიტული მიითვალა და წარმატებული სერიის განგრძობას ეშურებოდა. თავადაც ხედავთ, ბრაზილიელი უფრო ძლიერი გამოდგა.

და კიდევ — მაროკოელი იუნეს ელ აინაუი რბოლაში 295 ქულით შრიჩაფანის შემდეგ იდგა და ჰიუსტონში მოსახვედრად მასსავით მიზერულ შანსებს ელაციცებოდა. ამ შანსებს ბოლო მესამე სეტის დასაწყისში მოელო, როცა ხუჭუჭა და მჩქეფარე მაღრიბელს ნაგვემმა ქუსლმა მატჩის გაგრძელება აღარ დაანება.

REUTERS ბარი ზიდან

ნიკოლა მაუმ კოღო-ფერეროს იქით უკბინა

NHL **რეგულარული ჩემპიონატი**

პატრიკ რუა ჭერზე გამოკიდეს

28 ოქტომბერი

კოლორადო 4:2 კალგარი

2:0 1:1 1:1

1:0 ჰეიდუკი (9), 2:0 ფუტი (15), 2:1 ფელინა (24), 3:1 კამინსი (33), 3:2 ფელინა (41), 4:2 ბლეიკი (60)

პატრიკ რუას კარიერის ბოლო გვერდიც გადაიფურცლა. ყველა დროის საუკეთესო მეკარე საბოლოოდ გამოეთხოვა დიდ ჰოკეის და ამ საზეიმო ფაქტის აღსანიშნავად „ჰეპსი სენთერის" ჭერქში ლეგენდარული პატრიკის 33-ნომრიანი მაისურა აფრიალდა. ამით დასრულდა უნიკალური, 19-სეზონიანი კარიერა, რომელმაც უამრავი რეკორდი და, რაც მთავარია, 4 თასი და 3 „კონსმიტ ტროფი" (თასის უძვირფასესი მოთამაშე) დიტია.

მატჩისწინა 20-წუთიან ცერემონიაზე დიადი რუას მისამართით ბევრი თბილი სიტყვა ითქვა, შემდეგ ყოფილმა პარტნიორებმა პატრიკს შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნეს — მატჩი მოიგეს. თან რუას მემკვიდრემ, შვეიცარიელმა დევიდ ებიშერმა კიდევ ერთხელ დაანახვა ქომაგებს, რომ მისი წასვლის შემდეგ „კოლორადოს" კარი შვეიცარიულ ყველს სულაც არ დაემსგავსა. მესამე პერიოდში სტუმრებმა ძალიან მოინდომეს, მაგრამ 12 დარტყმიდან ებიშერისთვის აუღებელი მხოლოდ ერთი გამოდგა. პიტერ ფორსბერგი კი 2 პასის გაკათების შემდეგ 16 ქულით ბომბარდირთა სიას სათავეში ჩაუდგა.

„დღეს იმდენი ვიდეოჩანაწერი აჩვენეს, რომლებზეც პატრიკის თამაში იყო აღბეჭდილი, რომ კიდევ ერთი კარგი გაკვეთილი მივიღე. ის მართლაც არაჩვეულებრივი იყო" — თქვა მატჩის შემდეგ ებიშერმა.

კაროლინა 3:0 სან ხოსე

1:0 2:0 0:0

1:0 ვასიჩეკი (16), 2:0 ვასიჩეკი (33), 3:0 ვასიჩეკი (37)

„ჩეხმა კონდორმა" სამი გოლი მოინადირა. იოზეფ ვასიჩეკის ამპლუის შეცვლამ როგორც იქნა, ნაყოფი გამოიღო. სეზონის წინ ფორვარდი თავისივე თხოვნით ფრთის პოზიციაზე გადაიყვანეს. თავიდან იოზეფი არცთუ გამოირჩეოდა, მაგრამ ამ მატჩში ფრთები შეისხა და „კაროლინას" პირადად მოაგებინა. აღსანიშნავია, რომ ეს ამ სეზონში პირველი ჰ ეთ თრიქია.

აილანდერსი 0:4 ნიუ ჯერსი

0:1 0:1 0:2

0:1 ფრიზენი (18), 0:2 პანდოლფო (22), 0:3 ჯიონტა (48), 0:4 მედენი (48)

მხოლოდ მე-8 მატჩში აჩვენა „ნიუ ჯერსიმ" ის თამაში, რომლის წყალობითაც ივნისში გუნდმა თასი მოიპოვა. „ეშმაკთა" ბრწყინვალე დაცვამ, ელვისებურმა კონტრშეტევებმა და მარტინ ბროდოს (65-ე შათაუტი) საიმედო თამაშმა მასპინძლებს შანსი არ დაუტოვა.

ვონრეალი 0:2 ბოსტონი

0:1 0:1 0:0

0:1 ბერგერონი (11), 0:2 კნუბლი (31)



REUTERS დენვერიდან

დიდი პატრიკ რუას პატივსაცემად მატჩამდე ყველამ მისი სახელი დაიწერა

ლიგის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშეს, ბოსტონელ პატრის ბერუერონს გამოუცდელობა სულაც არ დასტყობია. „დათვების" 18 წლისა და 3 თვის ფორვარდს ზედიზედ მეორე თამაშში გააქვს გოლი და მის ანგარიშზე უკვე 8 ქულაა. ნორჩის გამორჩევა დაახლოებით 30 ნათესავ-ახლობელმა იხილა.

ბუფალო 1:3 მინესოტა

0:1 0:1 1:1

0:1 უოლეი (18), 0:2 დეიგლი (28), 0:3 ბრიუნეტი (43), 1:3 კალინინი (48)

სენტ ლუისი 1:0 ნეშვილი

1:0 0:0 0:0

1:0 მელანბი (20)

ვანკუვერი 6:3 კოლუმბუსი

2:2 1:1 3:0

1:0 არვედსონი (2), 2:0 ნესლუნდი (5), 2:1 ვიბორნი (7), 2:2 სიდორი (10), 2:3 ნეში (30), 3:3 ჩუბაროვი (40), 4:3 ჩუბაროვი (47), 5:3 კუკი (53), 6:3 ნესლუნდი (58)

წინა სეზონში ლიგის მეორე ბომბარდირმა, ვანკუვერელმა მარკუს ნესლუნდმა თავი 2 გოლით და 2 პასით შეგვახსენა.

ფინიქსი 2:2 ჩიკაგო

1:1 0:1 1:0 0:0

0:1 რადულოვი (13), 1:1 გრეტონი (13), 2:2 ნიემინენი (23), 2:2 რადივოევიჩი (47)

რეინჯერსი 1:3 ანაჰაიმი

0:2 0:1 1:0

0:1 ოზოლინში (10), 0:2 ჰაველიდი (15), 0:3 ნიდერმაიერი (30), 1:3 კოვალიოვი (57)

გაოცდებით, მაგრამ ჯერჯეროებით „ანაჰაიმი" უკეთ სწორედ მაშინ გამოიყურება, როცა ჟან სებასტიან ჟიგერი ისვენებს. ბოლო პლეი ოფის გმირზე უფრო იღბლიანი მისი შემცვლელი, შვეიცარიელი მეკარე მარტინ გერბერია. თუმც იღბალი რა შუაშია, როცა „რეინჯერსთან" მატჩში მან 38 დარტყმა მოიგერია.

სამველ ღარიბიანი

თბილისური კონკორდატი

მაგანის მიერ გერმანიიდან თბილისში ჩამოყვანილი წითელი BMW შავტუხა ნურაირ სტეფანიანის ხელში ჩავარდა და ალბათ უკვე ერევნის ქუჩებშიც დაჭენაობს. 25-28 ოქტომბერს იპოდრომზე გამართულ „კავკასიის თასს“ ექვსი სომეხი ცხენოსანი ესტუმრა და მათგან ყველაზე ყოჩაღმა პირტიტველა ქართველი მხედრებისთვის მიცემული შანსი, თბილისი კიდევ ერთი ლამაზი მანქანით გამდიდრებულიყო, შანსადვე დატოვა. სომხური შედეგით გაგულისებულმა, ზედმეტად მონდომებულმა აზერბაიჯანელმა მხედარმა კი იმდენი ქნა, 140-სანტიმეტრიან წინაღობას არათუ ზემოდან გადაევლო, თავის ცხენიანად კინაღამ ქვეშ გაძვრა. საქართველოს რაღაო, იკითხავთ. კავკასიის გუნდური თასი და კიდევ ერთი პატივი — თბილისი ხომ ის ქალაქია, სადაც კავკასიის პირველობა სომეხ და აზერბაიჯანელ სპორტსმენებს ერთად უყრის თავს.

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲫᲔᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲤᲝᲢᲝ



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროფჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სილოვინ გულისაშვილი, გიორგი დარგანი, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი ჰერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნაოლა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუტიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge